

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სტუდენტთა მესამე საფაკულტეტო
სამეცნიერო კონფერენცია

თ ე ზ ი ს ე ბ ი

18-20 დეკემბერი
2020

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

ანა მინდიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მანანა ალოიანი , მარტინ ლუთერის „95 თეზისი“ და ბრძოლა ინდულგენციის წინააღმდეგ	7
ბექარ ბაინდურაშვილი , დოჯ სითი – ველური დასავლეთის დედაქალაქი	7
ნინო ბაკურაძე , „სატანჯველის სახარება“ - სიორენ კირკეგორი.....	9
მარიამ ბეჟანიშვილი , აშშ-ის გეგმა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების შესახებ.....	10
ელენე ბერაია , თედო სახოკიას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა.....	11
ბაია ბოლქვაძე , ქალი და ქალღმერთი ძველ შუამდინარეთში.....	12
ნატო გაბარაშვილი , ოსმალეთ-ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობები ვალიდე საფიე სულთნისა და ელიზაბეთ I-ის დროს.....	13
მარიამ გელაშვილი , გოთიკის ხანის იტალიური და ჩრდილოური არქიტექტურის სტილისტური თავისებურებანი	15
მთვარისა გვენეტაძე , ქრისტიანული სახისმეტყველება ილია ჭავჭავაძის ლირიკაში	16
მედეა გვინჩიძე , ნიკოლოზ სარაჯიშვილი, თბილისის 1980 წლის მუსიკალური ფესტივალი.....	16
მარიამ გორგოშიძე , დამწერლობის იდეა შუმერული ტექსტის მიხედვით..	18
ნინო დანელია , რეჟიმი, როგორც ინსპირაცია ანუ „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“	19
ელიზა ეფაძე , აკაკი ბაქრაძის „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“	19
სალომე ზამბახიძე , ფრინველთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამები.....	20
გიორგი ზიბზიბაძე , ფრედრიკ დაგლასი აბოლიციონისტური მოძრაობის ლიდერი	21

მაკა ივანაშვილი , სიტყვების: "Today", "Tomorrow", "Yesterday"; „დღეს“, „ხვალ“, „გუშინ“ – ეტიმოლოგია, სემანტიკა და პრაგმატიკა ინგლისურ და ქართულ ენებში.....	23
მეგი კაზეიშვილი , პოსტმოდერნიზმის ნიშნები ნაირა გელაშვილის მოთხრობებში „ჩვენება (ანაბეჭდები)“ და „მივემგზავრები მადრიდს!“	24
მარიამ კვინიკაძე , რენესანსის ეპოქა და მისი გამოვლინება ლიტერატურაში	25
ქეთევან კოდელაშვილი , სიყვარულის მოტივი ნიკოლზ ბარათაშვილის ლირიკაში	26
მონიკა კუკავა , თანამედროვე ახალგაზრდული საგანმანათლებლო პროექტები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში	26
ნინო კუცია , ინგლისური სიტყვები – "Way" და "Road" და მათი ქართული კორელატი „გზა“	27
ღია ლოლომაძე , ნიკოს კაზანზაკის რომანის "ალექსის ზორბასის ცხოვრების" ინტერმედიალური სივრცე	28
ანა ლომიძე , ქალთა და სეგრეგაციის საკითხები ფენი ფლეგის „შემწვარი მწვანე პომიდვრები კაფე უისელ სტოპის“, მიხედვით	29
ნინო ლომიძე , იმამ შამილი და კავკასიური იდეა	30
ელენე მალაკელიძე , მარიამ გიორგაძე, ოდიპოსის სახე ანტიკურობასა და თანამედროვეობაში	31
ელენე მაჭარაშვილი , სიტყვების „People“, „Folk“ და მათი ქართული შესატვისის შეპირისპირებითი ანალიზი	32
ლალი მექერიშვილი , შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული სამონასტრო განათლება კლუნის მონასტრის მაგალითზე.....	33
ნანა მიხანაშვილი , სიონიზმი საქართველოში.....	35
ქეთინო მორგოშია , სიტყვების „Breakfast“, „Lunch“, „Dinner“, „Supper“ და მათი ქართული კორელატების ანალიზი	36
ალექსანდრე მოქცევაშვილი , მეორე დიდი გამოღვიძება და ჩარლზ ფინი. 37	
მიხეილ ნიკოლეიშვილი , თანამედროვე გეოპოლიტიკური ძვრების ისტორიული საფუძვლები ჩინეთის მაგალითზე.....	38

ეთერ ნოზაძე , ინგლისური სიტყვების „Win“, „Lose“ და მათი ქართული კორელატების ანალიზი	40
ლუიზა პაპალაშვილი, ელენე ბეროზაშვილი , მედეას სახე და მისი თარგმანი დიანა ანფიმიადის ლექსს „მედეა“ ინგლისური და გერმანული თარგმანების მიხედვით.....	41
ნინო ყლენტი , ასოციაციური კავშირები და სიმბოლოები ჰაროლდ პინტერის პიესაში „დაბადების დღე“ [The Birthday Party].....	42
ქეთი საყვეარაშვილი , პროექტი „ხუნძური ენის ელექტრონული ბიბლიოთეკა“	43
ნინო სერვასტიანცი , თევდორეს ორი ქებათა-ქება (შოთა ნიშნიანიძის „თევდორე“; გივი გეგეჭკორის „თევდორე“)	44
ნინო სირბილაძე , ამერიკელი დიპლომატების კომენტარები აგვისტოს ომზე.....	45
თამარ სიქთურაშვილი , „ფატიმა“ - პოემა და ფილმი	46
ილა სიხარულიძე , ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიები.....	47
მარიამ ფიფია , სათაურის პოეტიკა ქართული მოდერნისტული რომანების მიხედვით (კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“).....	48
ზაზა ქარჩავა , დიმიტრი უზნაძე-ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევარი	49
თამარ ქოთოლაშვილი , ქალი ავტორი და გენდერული პერსპექტივა, ტონი მორისონის რომანის, „წყალობა,“ მიხედვით	51
მარიამ ქოსაშვილი , მარტოობა – გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და პოეზიის სიმბოლო	52
ნანა შენგელია, სოფიო ბაგრატაშვილი , „წმინდა ინკვიზიციის“ უღმერთო სასამართლოები	52
დიანა ჩადუნელი , ოჯახური ძალადობა და ქალი ამერიკის ინდიელთა რეზერვაციებში	53

სალომე ჩანადირი , უოლტ უიტმენის ლექსის – „O Captain! my Captain!“ – ქართული თარგმანების რეცეფცია.....	55
ივეტა ცერცვაძე , გმირის ინიციაციის მოდელები ჯადოსნურ ზღაპარში ...	56
ქრისტინა ცერცვაძე , ინგლისური სიტყვის „Work“ და მისი ქართული შესატყვისების შეპირისპირებითი ანალიზი.....	57
ილია ცეცხლაძე , შენდობის თქმის ქრისტიანული ლექსიკისა და სიმბოლიკის ასახვა ეპიტაფიებსა და საფლავის ქვებზე.....	58
მარიამ ჭარხალაშვილი , ინგლისური სიტყვა „Play“ და მისი ქართული კორელატი „თამაში“ სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი.....	59
თეკლა ჭინჭარაული , მთის სახისმეტყველება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში	60
თამარ ჭიჭინაძე , რომანტიზმის არსი და ქართული რომანტიზმის ძირითადი თავისებურებები.....	62
ირინა ხანდრატანი , ბუნების სიმბოლური ასახვა ჯონ სტეინბეკის რომანში „თაგვებსა და ადამიანებზე“	63
ლია ხვადაგიანი , სიტყვა „Door“ ინგლისურსა და ქართულში, სემანტიკური თავისებურებების შეპირისპირების ანალიზი	65
თამარ ხუბერაშვილი , ამერიკის ინდიელთა რეზერვაციებში არსებული ძირითადი პრობლემები და გამონწვევები	66
ჯონდი ხუხია , საქართველოსა და ესპანეთის დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიიდან (XVII საუკუნის 20-იანი წლები)	67
ქრისტინე ჯავახიშვილი , სიტყვა „Wonder“ ინგლისურსა და ქართულში, სემანტიკური თავისებურებების შეპირისპირებითი ანალიზი.....	69
ლევან ჯანჯღავა , სახელმწიფო: რა? როგორ? პარადიგმები ნიკოლო მაკიაველის „მთავარსა“ და თომას ჰობსის „ლევიათანში“.....	70
სალომე ჯგერენაია , ინგლისური სიტყვა „Shout“ და მისი კორელატები ქართულ და მეგრულ ენებში.....	72

მანანა ალოიანი

მარტინ ლუთერის „95 თეზისი“ და ბრძოლა ინდულგენციის წინააღმდეგ

საკონფერენციო თემა ეხება, მარტინ ლუთერის გამოსვლას პაპის წინააღმდეგ. მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარიბჭეზე მიაჭედა თავისი „95 თეზისი“. იგი თეზისებით, სხვა საკითხებთან ერთად, უარყოფდა პაპის უცდომელობის იდეას, გმობდა ინდულგენციებით ვაჭრობას და ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობას მხოლოდ რწმენითა და სინანულით მიიჩნევდა. დაიწყო ბრძოლა პაპის კურიასა და მარტინ ლუთერს შორის. ლუთერი ერეტიკოსად გამოაცხადეს და ეკლესიიდან განკვეთეს. პაპმა ასევე დახმარება სთხოვა გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერატორს კარლოს V-ს. მოიწვიეს გერმანელი მთავრების კრება ვორმში, სადაც ლუთერს უნდა მოენანიებინა თავისი ქმედებები. ლუთერმა ამაზე უარი თქვა.

პროტესტანტული ეკლესიები წარმოიშვა მარტინ ლუთერის მიერ დაწყებული რეფორმაციის შედეგად, სწორედ მან დაუდო საფუძველი რეფორმაციულ მოძრაობას დასავლეთში, რომელიც გერმანიაში დაიწყო და ნელ-ნელა მთელ დასავლეთ ევროპაში, შემდეგ აღმოსავლეთშირგავრცელდა და გადავიდა სხვა კონტინენტებზეც.

ბექარ ბაინდურაშვილი

დოჯ სითი – ველური დასავლეთის დედაქალაქი

ზოგადად, როდესაც ველურ დასავლეთზე ვინცებთ საუბარს, თვალწინ წარმოგვიდგება შემდეგი სცენები: სასიკვდილო დუელები ცარიელ ქალაქში, ქოუბოები თავიანთი ცხენებით, ადამიანების ძარცვა, ქალების გაუპატიურება, ბრძოლა ინდიელებთან, ბანკების ძარცვა და ა.შ.

XX საუკუნის შუა ხანებში კინემატოგრაფებმა კარგად ასახეს „ვესტერნის“ კულტურა საკუთარ ფილმებში. მათ შეძლეს მაყურებელში ჩაენერგათ და შეექმნათ ის შეხედულება, რომელიც დღეს გაგვაჩნია.

სწორედ დოჯ სითის მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ ველური დასავლეთის მახასიათებლები. ადრე ამ ქალაქს არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა, თუმცა შემდგომ ის იქცა ქოუბოების, ახალმოსახლეებისა და კრიმინალების დედაქალაქად. კვლევისას აქცენტს გავაკეთებთ იმაზე, თუ როგორ განვითარდა საქალაქო ცხოვრება დოჯ სითში, როგორ შეიძინა მან ველური დასავლეთის ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები; გავამახვილებ ყურადღებას იმ ფაქტზე, თუ რომელი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები უწყობდა ხელს იმას, რომ სწორედ კანზასის შტატის ქალაქი ყოფილიყო ქოუბოების თავშესაფარი და ცენტრალური ადგილი ველურ დასავლეთში.

XIX საუკუნის ბოლო პერიოდში ველური დასავლეთი გაქრა და ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა ძველი ცხოვრების წესი. ახალმა დროებამ, პროგრესმა, ინდუსტრიალიზაციამ, რკინიგზამ, ტელეფონმა და ავტომობილის ეპოქამ არ დაინდო ვაილდ ვესტი და რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა დოჯ სითზეც იმოქმედა. თუ ადრე ამ ქალაქში სიცოცხლე ჩქეფდა და კრიმინალი მეფობდა, XX საუკუნის დასაწყისისთვის, ეს ადგილი დაცარიელდა და დაკარგა თავისი პირვანდელი სახე.

დოჯ სითი დღეისათვის ერთი უბრალო ქალაქია, რომელიც კანზასის შტატის შემადგენლობაშია, თუმცა მისი მდიდარი ისტორია და წარსული გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ავალორძინოთ და აღვადგინოთ ის ქალაქი, რომელიც ქოუბოების დედაქალაქად მიიჩნეოდა.

ჩემი კვლევის მიზანია დოჯ სითის მაგალითზე განვსაზღვრო ველური დასავლეთის ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, გავანალიზო, თუ როგორ მიმდინარეობდა დოჯ სითის ურბანული ტრანსფორმაცია, რა აქცევდა ამ დასახლებას ველური დასავლეთის „კლასიკურ“ ქალაქად და როგორ შეიცვალა ქალაქის სოციალური რეალობა ახალ დროებასთან ერთად. დოჯ სითში მომხდარი ცვლილებების განზოგადებით შემეძლება დავასკვნა, როდის და რატომ გაქრა ველური დასავლეთი.

ნინო ბაკურაძე

„სატანჯველის სახარება“ - სიორენ კირკეგორი

ყველა ცოცხალი არსება, მათ შორის ადამიანიც სიცოცხლისკენ მიიღწევს. შესაბამისად, ადამიანთა უმთავრეს მიზანს ცხოვრება წარმოადგენს. იმისათვის, რომ ადამიანმა რეალური არსებობა შეიგრძნოს, აუცილებელია გათავისუფლდეს. ამ შემთხვევაში იგი იმოქმედებს თავისი ნების სასარგებლოდ.

თავისუფლება ადამიანობის განმსაზღვრელია. ადამიანი მიდრეკილია სიმარტივისაკენ და გაუცნობიერებლად ექცევა სხვათა ზეგავლენის ქვეშ. სწორედ ამიტომ იგი უნდა ეცადოს და გათავისუფლდეს ყოველგვარი ზედმეტისგან, რათა მისგან დარჩეს ის, რაც იგი რეალურად არის და შეძლოს, აღიქვას თავისთავადი სამყარო.

კირკეგორი გვიხატავს რწმენის არსს, ნების მქონე ადამიანის თვალსაზრისიდან გამომდინარე. ნებისა და თავისუფლების შემთხვევაში, როგორი არის ჩვენი რწმენა რეალურად? თავისუფლება, რომელიც ადამიანის არსებობის განმსაზღვრელია - მძიმეა, რადგან მასთან ერთად, ადამიანი გამუდმებით იტანჯება პასუხისმგებლობით სავსე აზროვნებაში.

კირკეგორთან თავისუფლება გამოხატულია ადამიანის არჩევანში - ირწმუნებს თუ არა ღმერთს. მორწმუნე იღებს ღმერთის მიერ განსაზღვრულ კეთილსა და ბოროტს, თუმცა იგი კვლავ თავისუფალი რჩება, რადგან მას აქვს არჩევანი ზუსტად მიყვეს ან არ შეასრულოს ღმერთის მიერ დადგენილი მორალური წესები. სწორედ ამ არჩევანის მდგომარეობა ადამიანს ამყოფებს სატანჯველში, რადგან მასში ჩნდება ეჭვი და ასევე, მან მაქსიმალურად უნდა დაითმინოს ყოველივე, რათა საბოლოოდ მარადიულ ნეტარებაში გადაინაცვლოს.

კირკეგორის, როგორც მორწმუნის გადმოსახედიდან მოპოვებული თავისუფლებით ადამიანი, მუდმივად განიცდის ტანჯვას, რადგან მას ეკისრება ძლიერ დიდი პასუხისმგებლობა. თუმცა ეს ტანჯვა გაიგივებულია სიხარულთან, რადგან ამ სატანჯველს აუცილებლად მოყვება მარადიული ნეტარება.

იგი თავის შეხედულებებს იმის საფუძველზე ავითარებს, რომ ადამიანი ღმერთის წინაშე არასდროს არის უდანაშაულო. ადამიანისადმი მიყენებული ტანჯვა ყოველთვის შეიძლება გავიაზროთ სიხარულად, როცა გავაანალიზებთ, რომ „სივინროვე წარმოადგენს გზას“. საბოლოოდ, სატანჯველი მარადიულობისათვის ერთგვარ სამზადისად გვესახება.

სივინროვე, იგივე სატანჯველი არის გზა. გამოსავალი, რაც სატანჯველიდან გამოსვალს გულისხმობს, თავად სატანჯველშივეა. იგი უნდა ვზიდოთ და მხოლოდ შემდეგ შეძლებს ადამიანი დროებითი სატანჯველიდან მარადიულ ნერატარებაში გადავიდეს.

მარიამ ბეჟანიშვილი

აშშ-ის გეგმა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების შესახებ

2008 წლის 28 იანვარს ვაშინგტონში, თეთრ სახლში, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ოფიციალურად წარადგინა ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების გეგმა, რომელსაც „საუკუნის გარიგება“ უწოდეს.

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს 180 გვერდს და შედგება ეკონომიკური და პოლიტიკური ნაწილებისაგან. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა იერუსალიმის სტატუსი, საკითხი საზღვრების, უშიშროების, ღაზას სექტორის სტატუსის, ეკონომიკური პრეფერენციების, პატიმრებისა და ლტოლვილების, ურთიერთალიარებისა და პალესტინელებსა და ისრაელიანებს შორის ურთიერთობის, არსებული პრეტენზიებისა და შემდგომი მოლაპარაკებების წესების დარეგულირების შესახებ.

აშშ-მ ასევე გააკეთა განცხადება ზემოთ აღნიშნული გეგმის განხორციელების შესახებ. კონფლიქტის დარეგულირების მხარდაჭერის მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების ინვესტიცია განისაზღვრა \$50 მილიარდი დოლარით. ისრაელში აშშ-ის ელჩის, დევიდ ფრიდმანის თანახმად, კონფლიქტის დარეგულირების გეგმა ასევე მოიცავს ღაზას სექ-

ტორსა და მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირს შორის სწრაფი მიმოსვლის რკინიგზის მშენებლობას. აღნიშნული გეგმით ასევე გათვალისწინებულია, გაეროს პალესტინელი ლტოლვილების დახმარების სააგენტოს ლიკვიდაცია და სხვ.

მოხსენებაში განხილულია თუ როგორი არაერთგვაროვანი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა ზემოაღნიშნული კონფლიქტის დარეგულირების გეგმას თურქეთის, ირანის, არაბთა ლიგის სახელმწიფოების, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის მხრიდან.

სულ ახლახან, 2020 წლის 27 ოქტომბერს ისრაელისა და სუდანის ხელისუფალთ განაცხადეს ურთიერთობების ნორმალიზაციის შესახებ. სუდანმა ასევე განაცხადა თანხმობა „ჰიზბულაჰის“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადების შესახებ.

ელენე ბერაია

თედო სახოკიას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა

თედო სახოკია (1868-1956) არის ქართული სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის ნაშრომებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის განვითარების საქმეში. თედო სახოკიამ ერთი მხრივ საფუძველი ჩაუყარა ეთნოლოგიური კვლევების განვითარებას საქართველოში, მეორე მხრივ აქტიურად უწევდა პოპულარიზებას ქართულ კულტურას საზღვარგარეთ. მისი დამსახურებით, ფიქსირებული და მომავალი თაობებისთვის შემონახულია უნიკალური ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალა. ის აქტიურად იყო ჩართული იმდროინდელ წამყვან სამეცნიერო პროცესებში. იცნობდა როგორც ქართულ, ასევე ევროპულ სტანდარტებსა და ფლობდა სათანადო ცოდნას.

თედო სახოკიას ბიოგრაფიაც გამორჩეულია, წერა-კითხვა მას ბესარიონ ხელაიამ, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ ასწავლა. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტსა და სორბონის უნივერსიტეტში. იყო

პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოების საზღვარგარეთელი კორესპონდენტი. აქტიურად თანამშრომლობდა ი. ჭავჭავაძესთან, იბეჭდებოდა „ივერიაში“ და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („დროება“; „სახალხო გაზეთი“; „მოამბე“; „ცნობის ფურცელი“; „კავკაზი“; „ნოვოე ობოზრენიე“), იყო საფრანგეთის ქართველების არალეგალური გაზეთის, „საქართველოს“, თანარედაქტორი. 1906 წელს თ. სახოკია დააპატიმრეს საქართველოში რევოლუციონერების დასახმარებლად იარაღის შემოტანის ბრალდებით და ციმბირში გადაასახლეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თ სახოკია გარდაიცვალა 1956 წელს და დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თედო სახოკია ველზე მუშაობისას აქტიურად აგროვებდა ეთნოგრაფიულ კოლექციებს, ექსპონატებს და გადასცემდა მათ მუზეუმებს. მისი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა შეიცავს უნიკალურ ცნობებს, რომლებიც სისტემატიზებულია და თეორიული ანალიზის მაგალითს წარმოადგენს, რასაც დღესაც არ დაუკარგავს ძალა.

ბაია ბოლქვაძე

ქალი და ქალღმერთი ძველ შუამდინარეთში

ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს ქალისა და ქალღმერთების როლი ძველ შუამდინარეთში და გამოკვეთოს ის მსგავსებები თუ განსხვავებები, რომლებიც თანამედროვე სამყაროში გავრცელებულ მოსაზრებებში იკვეთება. რა როლს ასრულებენ ქალღმერთები ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა სამყაროს შექმნა, ადამიანის გაჩენა, პირველი საყოველთაო დასჯა ღვთაებების მიერ და ა.შ. რას გვეუბნება მათი როლები ამ საზოგადოების მსოფლმხედველობის შესახებ და როგორ შეიძლება ეს მახასიათებლები კავშირში იყოს თავად ქალის ფენომენის გააზრებასთან? როგორი იყო თავად ქალის როლი, რას გვიყვებიან პირველი ეპოსები მათ შესახებ და როგორ არის ლიტერატურულ ძეგლებსა თუ რელიგიურ ტექსტებში ასახული ქალებისა და ქალღმერთების მიმართ გავრცელებული დამოკიდებულებები გადმოტანილი რეალობაში ანუ კანონ-

ნებში. ეს ის ძირითადი შეკითხვებია, რომლის გარშემოც იქნება ნაშრომში მსჯელობა.

მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში სამეცნიერო კვლევებთან ერთად, განხილულია რელიგიური ტექსტები, რომელშიც ვხედავთ ქალღმერთების როლებს, ფუნქციებს, დამოკიდებულებებსა და ხასიათებს. ამ ნაწილს ებმის ლიტერატურული ტექსტების ანუ პირველი ეპოსების განხილვა და მათში ქალთა სახეების მიმოხილვა. ამავდროულად, ნაშრომში წარმოდგენილია პირველი შუამდინარული პოეზიის ნიმუშის ანალიზი, რომლის ავტორადაც გვევლინება ქურუმი ქალი ენხედუანა. ბოლო ნაწილში კი განხილულია კანონები ურნამუდან შუა ასურული პერიოდის ჩათვლით, რათა ნათლად დავინახოთ როგორ ვითარდებოდა დროსა და სივრცეში ქალთა მიმართ დამოკიდებულებები და როგორ აისახებოდა ეს ცვლილებები კანონებში.

საბოლოო ჯამში, ნაშრომი წარმოგვიდგენს რელიგიაში, ლიტერატურასა თუ კანონებში დანახულ ქალთა და ქალღმერთთა როლებს და ამ ყველაფრის მეშვეობით ცდილობს, იპოვნოს განსხვავებები თუ მსგავსებები თანამედროვეობასა და ძველ შუამდინარეთში არსებულ დამოკიდებულებებსა და მსოფმხედველობას შორის.

ნატო გაბარაშვილი

ოსმალეთ-ინგლისის დიპლომატიური ურთიერთობები ვალდიე საფიე სულთნისა და ელიზაბეთ I-ის დროს

XVI საუკუნე საკვანძო პერიოდია საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში. რეფორმაციამ, როგორც პოლიტიკურმა პროცესმა, უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე. პაპის ძალაუფლებას გამიჯნული ანგლიკანური ინგლისი კათოლიკური ევროპისაგან მოკვეთილი აღმოჩნდა. არც კონტინენტურ ევროპაში ცხრებოდა დაპირისპირება საღვთო რომის იმპერიისა და ესპანელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ევროპა-აზიის დამაკავში-

რებელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები ოსმალების გავლენის ქვეშ მოექცა, რასაც თან დაერთო ოსმალეთის სულთნების მზარდი ექსპანსიური პოლიტიკა ევროპის წინააღმდეგ. რელიგიამ უკანა რიგებში გადაინაცვლა და საფრანგეთის მეფემ ფრანსუა I-მა, ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლისა და სავაჭრო ინტერესების გათვალისწინებით, საფრანგეთისათვის მომგებიანი სავაჭრო და დიპლომატიური გარიგებები გააფორმა ოსმალეთის იმპერიასთან და მასთან ერთად საფრანგეთ-ინგლისის მრავალსაუკუნოვანი დაუძინებელი მტრობაც.

ამ პოლიტიკური და სოციალური წინამძღვრების ფონზე, ინგლისის გამჭრიახმა დედოფალმა ელიზაბეთ I ტიუდორმა (1558-1603) გადამწყვიტა, დიპლომატიური კავშირები დაემყარებინა ოსმალეთის იმპერიასთან. ამ პოლიტიკური პროცესების წარმართვაში და ინგლის-ოსმალეთის დაახლოების საქმეში ელიზაბეთ ტიუდორთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სულთან მურად III-ის (1574-1595) ცოლმა და მეჰმედ III-ის (1595-1603) დედამ - ვალიდე საფიე სულთანმა (დაახლ. 1550-1619).

ელიზაბეთ ტიუდორმა რელიგიური სხვაობა უპირატესობად აქცია და დაარწმუნა ოსმალეთის სულთანი, რომ ისლამს და პროტესტანტობას ჰქონდათ მეტი საერთო და ჰყავდათ ერთი მტერი – საღვთო რომის იმპერია და კათოლიკური ევროპა. თავის მხრივ, ოსმალეთის მაშინდელ სულთანს, მურად III-ს კათოლიკე ჰაბსბურგების წინააღმდეგ მებრძოლი კათოლიკური საფრანგეთი, როგორც ახალი სავაჭრო პარტნიორი, ძალიანაც აწყობდა. პროტესტანტული ინგლისისა და ოსმალეთის იმპერიის დაახლოების საქმეში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი როლი შეასრულა „ქალთა დიპლომატიამ“.

საკონფერენციო მოხსენებაში შევეცდებით „ქალთა დიპლომატია“ წარმოვადგინოთ და გავაანალიზოთ ისტორიისათვის შემორჩენილი საფიე სულთნისა და ელიზაბეთ I-ის მიმონერის საფუძველზე, რომელიც ვფიქრობთ, კვლევისათვის საინტერესო მასალაა.

მარიამ გელაშვილი

გოთიკის ხანის იტალიური და ჩრდილოური არქიტექტურის სტილისტური თავისებურებანი

მოცემული ნაშრომი ეხება ევროპის სახელოვნებო ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს – გოთიკის ხანის ხელოვნებას. ეს ეპოქა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დასასრულისა და დასაწყისის ერთობა: შუა საუკუნეების განვითარების დასასრული და ამავე დროს რენესანსული ეპოქისკენ მიმავალი გზის დასაწყისი.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ გოთიკის ხანის იტალიურ არქიტექტურაზე, მაგრამ, ამავე დროს, წარმოვაჩინეთ გოთური ხელოვნების არსი, მისი თავისებურებები, გამოვლინებები, ისტორიული მნიშვნელობა, მხატვრული დატვირთვა, ინოვაციები. გარდა ამისა, ვინაიდან გოთიკის ხელოვნება, ისევე, როგორც საერთოდ შუა საუკუნეების ხელოვნება, სინთეზური ხასიათისაა, არქიტექტურასთან ერთად, ნაწილობრივ განვიხილავთ მასთან დაკავშირებული სხვა დარგების (ქანდაკების, მონუმენტური ფერწერის და ა. შ.) თავისებურებებს.

გამოვყოფთ გოთური ხელოვნების ორი ტიპს – სამხრეთ ევროპული, ანუ იტალიური გოთიკა და ჩრდილოეთის ქვეყნების გოთიკა. ორივე მათგანი განიხილება, როგორც ერთი მონეტის ორი მხარე. გამოყოფილია მათი მსგავსებები და განსხვავებები. ეს ყველაფერი კი, განირჩევა კონკრეტული საკათედრო ტაძრების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ისტორიულ კონტექსტში განიხილება. შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უკეთ გამოიკვეთოს ჩრდილოეთისა და იტალიური გოთიკის მხატვრულ მახასიათებელთა თავისებურებანი.

მოხსენებაში ძირითადად გამოვიყენებთ ლიტერატურისა და ფოტომასალის ანალიზს, რაც საერთო სურათის შექმნაში, მის სწორი კუთხით გააზრებასა და დასკვნების გამოტანაში დაგვეხმარება.

მთვარისა გვენეტაძე

ქრისტიანული სახისმეტყველება ილია ჭავჭავაძის ლირიკაში

ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება მრავალმხრივ არის საყურადღებო. ის იყო, როგორც პოლიტიკური და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, ასევე პუბლიცისტი და პოეტი. მან თავის შემოქმედებაში ასახა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი საკითხები. ილია იყო რეალისტი მწერალი, რაც იმას გულისხმობს, რომ კონკრეტულ სინამდვილეს ასახავდა და განაზოგადებდა მას. პოეტი თავისი ლირიკული შედეგებით ხალხს განუმტკიცებდა პატრიოტიზმის გრძნობას. აღსანიშნავია, რომ მისი შემოქმედებითი მრწამსი განსაზღვრა ქრისტიანულმა რელიგიამ, რამაც განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა მის ლირიკაში, სადაც გვხვდება სახარებიდან მოყვანილი პარალელები და ამით ნათელი დადასტურება იმისა, თუ რაოდენ ძლიერ იგრძნობა ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და რელიგიური ასპექტების გამოვლენა.

ილია ჭავჭავაძის ლირიკის რელიგიურობის შესწავლისას გასათვალისწინებელია ქრისტიანული პარადიგმები-ბიბლიური სახეები: სული, ცა, ღმერთი, სინათლე. მის ლექსებში ასახული ქრისტიანული მოტივები ემსახურებოდა ერის სულიერ და სახელმწიფოებრივ შეკავშირებას.

მედეა გვინჩიძე

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

თბილისის 1980 წლის მუსიკალური ფესტივალი

1980 წლის მარტში ქალაქ თბილისში ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი – გაზაფხულის რითმები, თბილისი - 80. ეს ის დრო იყო, როდესაც მსოფლიო როკის კორიფეები გარდაცვლილები იყვნენ (ჯონ ლენონი, ჯონ ბონემი, ბონ სკოტი, იან კერტისი...), ხოლო საბჭოთა მუსიკალური

სამყარო ალა პუგაჩოვასა და სერგეი კობზონს ჰქონდათ დაპყრობილი და ხალხი კვლავ „**КАТЮША**“-თი იყო აღფრთოვანებული.

თბილისის ქუჩებში აფიშებზე ეწერა – პოპულარული საესტრადო მუსიკის ფესტივალი – გაზაფხულის რითმები, თბილისი **80**. როგორც ჩანს, ჩანაფიქრი სისტემატური ხასიათის იყო, თუმცა რეალობაში მხოლოდ ერთი, **1980** წლის ფესტივალი განხორციელდა. კონცერტები **8**-დან **16** მარტამდე იმართებოდა. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის გარდა კონცერტები ჩატარდა ქ. გორის ცირკში და თბილისის ოფიცრის სახლში.

ორგანიზატორთა განცხადებით, ფესტივალის მიზანი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების გამოვლენა იყო. უნდა ითქვას, რომ ახალშექმნილ ბენდებთან ერთად, ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ბენდებმა, რომელთაც ზურგს მრავალწლიანი არსებობა უმაგრებდა (მაგალითად, ფესტივალის გამარჯვებული „მაშინა ვრემენი“ იმ დროს უკვე **11** წლის იყო).

აღნიშნული საკითხი მრავალი კუთხითაა საინტერესო. მასში მონაწილეობას ქართული როკ-ბენდებიც იღებდნენ. ზოგადად ქართული როკი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკმაოდ შეუსწავლელია და „კვლევები“ ბლოგების დონეს არ სცდება. ჩვენ ნაშრომში მოკლედ მიმოვიხილეთ ფესტივალის მიმდინარეობა, შევეხეთ გამარჯვებულ ბენდებს, ვეცადეთ წარმოგვეჩინა ფესტივალის ქართული ელფერი. ზოგადად, განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს ის, თუ რატომ ჩატარდა ფესტივალის სწორედ საქართველოში და არა საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა რესპუბლიკაში.

წინამდებარე კვლევაში ჩვენ ვეყრდნობით თანადროულ პრესას, საარქივო მასალებს, დოკუმენტურ ფილმს ფესტივალის შესახებ და სხვადასხვა კადრებს უშუალოდ ფესტივალიდან. აგრეთვე ვიყენებთ მასში მონაწილე მუსიკოსთა ინტერვიუებსა და მოგონებებს.

მარიამ გორგოშიძე

დამწერლობის იდეა შუმერული ტექსტის მიხედვით

უძველესი დროიდან დღემდე, ადამიანები და ზოგადად, კაცობრიობა ცდილობს საკუთარი კვალი დატოვოს და ამ იდეის დაყვანა შესაძლებელია ერთ ინდივიდამდე, რომელიც ეძებს საკუთარ ადგილსა თუ ფუნქციას ამ სამყაროში. აღნიშნულს ვხედავთ უძველეს ცივილიზაციაში, რომლის გვირგვინსაც „გილგამეშის ეპოსი“ წარმოადგენს. თვითშეგნება, რომ ადამიანის ცხოვრებამ უშუალო შედეგი უნდა გამოიღოს, ამ საზოგადოებისათვის მთავარი მახასიათებელია, სწორედ ამ მიდგომამ მიიყვანა უძველესი ცივილიზაცია დამწერლობის შექმნამდე. აქვე ხაზგასასმელია, რომ იგი იქმნება უდიდესი მნიშვნელობით და ეს არის ღრმა აზრის გადმოცემის იდეა, რომელიც ვერ დაიტია ზეპირსიტყვიერებამ. წერით, ადამიანმა საკუთარი თავი უკვდავყო. ცივილიზაციის პირველი და უმთავრესი მახასიათებელი, სწორედ რომ, დამწერლობის შექმნაა და იგი პირველად ფიქსირდება მესოპოტამიაში. ამ საზოგადოებისათვის, სადაც გვაქვს შუმერული სიმღერები, „გილგამეშის ეპოსი“ ან არათას ციკლი, და ბოლოს, ენხედუანას პოეზია, ეს ქმედება საკმაოდ ლოგიკური და რაციონალური გადანყვეტილებაა. დამწერლობა არის ის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დასძლიოს სივრცე, დრო და სოციალური დისტანცია. სწორედ ამ უდიდეს მიგნებას, შუმერებს უნდა ვუმადლოდეთ. ყველაზე ადრეული დამწერლობა შუამდინარეთში, კერძოდ კი ქ.ურუქში, ინანას ტაძარ ე-ანაშია (შუმ. „სახლი ციური“) აღმოჩენილი. დღეს, კვლევების შედეგად დადგინდა, რომ არსებობს ე-ანას დამწერლობის რამდენიმე საფეხური და ქვემოთ შევეცდები თითოეული მიმოვიხილო. ასევე მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება შუმერული ტექსტები, სადაც ნათლადაა აღწერილი დამწერლობის შექმნის იდეა და მისი განხორციელება.

ნინო დანელია

რეჟიმი, როგორც ინსპირაცია ანუ “ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“

ლევან ბოლქვაძის წიგნში, „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“, გადმოცემულია ფანტაზიით შენიღბული რეალობა, რაც რეპრესირებული მწერლისთვის ავტორიტარული რეჟიმი ერთგვარი ინსპირაციაა. ამ კუთხით კი ის ძალიან ჰგავს იმავე ეპოქის ინგლისელი მწერალისა და ესეისტის, ჯორჯ ორუელის (ერიკ ართურ ბლერი) ნაწარმოებებს: „ათას ცხრასას ოთხმოცდაოთხსა“ და „ცხოველების ფერმას“, რომელშიც ასევე ალეგორიულადაა გადმოცემული საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მანკიერი მხარეები.

რეპრესირებული მწერალი გასაოცარი ოსტატობით გვიხატავს დიქტატორულ სახელმწიფოში მყოფი ინფანტილური საზოგადოების სახეს, ავტორი ამას მსუბუქი ირონიის საშუალებით აკეთებს.რ

ჩვენი მოხსენების ძირითადი მიზანია ლევან ბოლქვაძის წიგნში, „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“, ავტორის მსოფლმხედველობის, რეალობიადმი მისი დმოკიდებულების წარმოჩენაა და სხვა საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

ელიზა ევაძე

აკაკი ბაქრაძის „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლი“

აკაკი ბაქრაძე, ქართველი პუბლიცისტი და მწერალია. თავის წიგნში – „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლი“ – საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობს გრიგოლ რობაქიძის შესახებ. ავტორი „კარდუში“ გვამცნობს დრამატული ბიოგრაფიის მქონე მწერლის პორტრეტს, დაბადებიდან სიკვდილამდე. მწერალი გრიგოლის ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხება. გვიყვება ისეთ საინტერესო საკითხებზე, როგორიცაა ბავშვობა, მშობლები, ოჯახი, შემოქმე-

დება და მოღვაწეობა. შენიშნავს, რომ გრიგოლ რობაქიძეს თავიდანვე ჰქონდა განზრახვა გერმანიაში გაპარვისა და მისი იქ დარჩენა შემთხვევითი არ ყოფილა. გრიგოლ რობაქიძემ თავისი წიგნებითა და ლექციებით შეძლო საზოგადოებისთვის ახალი ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებათა გაცნობა. თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა მწერალთა კავშირი და იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდა სხვადასხვა სტატია-წერილს ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე. „კარდუ“ მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ თავმოყრილია სხვადასხვა მოღვაწის მნიშვნელოვანი ნააზრევი გრიგოლ რობაქიძის შესახებ. „საუკუნეებს ველაპარაკები“ - ეს სიტყვები დაწერა გრიგოლ რობაქიძემ, სადაც ჩანს მისი შემოქმედებითი ღირებულება.

თეზისში განხილული საკითხები მოხსენების თემაში ვრცლად და დეტალურად იქნება ახსნილი.

სალომე ზამბახიძე

ფრინველთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამები ინგლისურსა და ქართულ ენებში

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვა “Bird” და მისი შესატყვისი ანუ კორელატი ქართული სიტყვა „ფრინველი“. კვლევის პროცესში შესწავლილი იყო ამ სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა. მოხსენებაში შეპირისპირებულია ინგლისური სიტყვის და მისი კორელატის სხვადასხვა მნიშვნელობა. თეორიული მასალა ემყარება შემდეგ წყაროებს: “The Oxford Dictionary of Idioms”, ალ. ონიანის „ქართული იდიომები“, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. ემპირიული მასალა მოპოვებულია ქართული და ინგლისური მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიდან.

მოხსენებაში აგრეთვე შესწავლილია საკვლევი სიტყვების გამოყენება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, იდიომებსა და ანდაზებში. ასევე გაანალიზებულია მოცემული ძირებიდან ნაწარმოები სიტყვები. მოხსენებაში შედარებულია ფრინველის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი სიტყ-

ვები, მათთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამები და ანდაზები ქართულსა და ინგლისურ ენებში.

შეპირისპირებითა კვლევამ გამოვლინა მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის. კერძოდ, იდიომატური გამონათქვამებისა და ანდაზების ძიებისას, ქართულსა და ინგლისურს შორის გარკვეული მსგავსებები აღმოჩნდა. თუმცა, ასევე იყო ბევრი მყარი გამონათქვამი, რომელიც მხოლოდ ერთ ენაში დასტურდება და მსგავსი გამონათქვამი მეორე ენაში არ გვხვდებოდა.

ინგლისურსა და ქართულ ენებში სხვადასხვა ფრინველის სახეობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაცია. ამ მხრივ, შეპირისპირების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მოცემულ ორ ენაში დასტურდება ბევრი მსგავსება, კერძოდ სიტყვები: „ყორანი“, „Raven“, უარყოფითი კონოტაციით გამოიყენება ორივე ენაში. რაც შეეხება სიტყვებს: „არნივი“, „Eagle“, „მტრედი“, „Pigeon“, დადებითი კონოტაციისაა. მაგრამ არსებობს განსხვავებაც, მაგალითად, სიტყვა „გუგული“ – „The Cuckoo“, განსხვავებული კონოტაციური მნიშვნელობისაა მოცემულ ენებში.

ფრინველებთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამების განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ქართული და ინგლისური გამონათქვამები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ, რის შედეგადაც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების ცნობიერება გარკვეულწილად ჰგავს ერთმანეთს, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მსგავსება გამონათქვამებს შორის. განსხვავებული გამონათქვამების არსებობა კი, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს მოცემული ენობრივი კოლექტივის კულტურული და ისტორიული სპეციფიკით.

გიორგი ზიბზიბაძე

ფრედრიკ დაგლასი აბოლიციონისტური მოძრაობის ლიდერი

ფრედრიკ დაგლასი 1818 წელს ტალბოტის ოლქში, მერილენდში, მონობაში დაიბადა. 1838-დან 1846 წლამდე დაგლასს უამრავი წინააღ-

მდეგობის გადალახვა მოუნია, რაც საბოლოოდ თავისუფლების მოპოვებით დაგვირგვინდა. მას შემდეგ, რაც დაგლასმა თავისუფლება მოიპოვა¹, მისი მთავარი მიზანი, შავკანიანი მონების გათავისუფლება და მათთვის პროფესიული განათლების მიღების უზრუნველყოფა გახდა. მან პოპულარობა თავისი მჭევრმეტყველებით და წერის საუცხოო ნიჭით მოიპოვა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, მის მიერ როჩესტერში გამოცემული გაზეთი, სახელად, „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“. ეს სახელი სიმბოლურია, რადგან გაქცეული მონები ჩრდილოეთის ვარსკვლავს მიჰყვებოდნენ, რათა თავისუფლება ეპოვათ.

დაგლასის როლი აბოლიციონისტურ მოძრაობაში დიდია, იგი მოძრაობის ლიდერად ჩამოყალიბდა და თავისი ცხოვრება მონობის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს, იგი მხარს უჭერდა აფრო-ამერიკელების განწევას კავშირის არმიაში, რამდენადაც დაგლასი სამოქალაქო ომს მონობის დასრულების ბრძოლად მიიჩნევდა. ფრედრიკ დაგლასი მოღვაწეობდა ისეთ ცნობილ აბოლიციონისტებთან ერთად, როგორებიც იყვნენ: უილიამ გარისონი და გერიტ სმიტი.

ფრედრიკ დაგლასისა და სხვა გამოჩენილი აბოლიციონისტების ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო და 1865 წელს შტატების კონსტიტუციაში მე-13 შესწორება დაემატა, შესწორების მიხედვით, მონობა აშშ-ის ტერიტორიაზე გაუქმდა. მიუხედავად ამ შესწორებისა და დიდი წარმატებისა, რასაც დაგლასმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა, აღნიშნული პრობლემა კიდევ მრავალ გამოწვევას აყენებდა დღის წესრიგში. სწორედ ამიტომ, დაგლასი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა ბრძოლას თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის დამკვიდრებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

¹ იგულისხმება იურიდიული-პოლიტიკური თავისუფლება, Liberty

მაკა ივანაშვილი

სიტყვების: “Today”, “Tomorrow”, “Yesterday”; „დღეს“, „ხვალ“, „გუშინ“ – ეტიმოლოგია, სემანტიკა და პრაგმატიკა ინგლისურ და ქართულ ენებში”

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვები: “Today”, “Tomorrow”, “Yesterday”, და მათი ქართული ეკვივალენტები ანუ კორელატები – „დღეს“, „ხვალ“, „გუშინ“. კვლევის პროცესში შევისწავლე მოცემული სიტყვების სემანტიკა და ეტიმოლოგია. შევადარე ერთმანეთს ინგლისური სიტყვებისა და მათი ქართული ეკვივალენტების სხვადასხვა მნიშვნელობები. აგრეთვე, გავაანალიზე მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. მასალა მოპოვებულია: კემბრიჯის¹, ოქსფორდის², დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ³ და ქართული ენის ელექტრონული ორთოგრაფიული⁴ ლექსიკონებიდან, Free Dictionary⁵- დან, მხატვრული ლიტერატურიდან და ცოცხალი მეტყველებიდან.

საკვლევი სიტყვების გამოყენება შევისწავლე ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, იდიომებსა და ანდაზებში. ასევე გააანალიზებულია მოცემული სიტყვების ძირებიდან ნაწარმოები შედგენილი სიტყვების მნიშვნელობა.

შეპირისპირებითა კვლევამ გამოკვეთა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის:

ინგლისური სიტყვებისა და მათი ქართული კორელატების მნიშვნელობები ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ინგლისური “Yesterday”, ისევე როგორც ქართული „გუშინ“ შეიძლება განიმარტოს, როგორც არა მხოლოდ დღევანდელი დღის წინა დღე, არამედ ახლო წარსული. ხოლო ინგლისური “Tomorrow” და ქართული „ხვალ“ – დღევანდელი დღის მომდევნო დღე ან ახლო მომავალი.

¹ <https://dictionary.cambridge.org/>

² <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>

³ <https://dictionary.ge/>

⁴ <http://ena.ge/>

⁵ <https://www.thefreedictionary.com/>

თუმცა, იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებში საკვლევი ინგლისური სიტყვების შესწავლამ ცხადყო, რომ მათი მნიშვნელობები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ქართულ კორელატებს. მაგალითად, “I needed (something) yesterday” ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც „სასწრაფოდ მჭირდებოდა“. შესაბამისად, არანაირ კავშირში არ არის სიტყვასთან „გუშინ“.

მეგი კაზიშვილი

პოსტმოდერნიზმის ნიშნები ნაირა გელაშვილის მოთხრობებში „ჩვენება (ანაბეჭდები)“ და „მივემგზავრები მადრიდს!“

ნაირა გელაშვილი თანამედროვე ქართველი მწერალია, რომლის შემოქმედებაც საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. ჩვენი ინტერესის საგანია ტექსტები: „ჩვენება (ანაბეჭდები)“ და „მივემგზავრები მადრიდს“. მწერალი არ არის პოსტმოდერნიზმის მიმდევარი და ამ მიმდინარეობას თავადაც არ აღიარებს, თუმცა მის ტექსტებში შეინიშნება პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

„ჩვენება (ანაბეჭდები)“ დოკუმენტებით აგებული ნაწარმოებია, სადაც პოსტმოდერნიზმის ბევრი ნიშანი იკვეთება, მათ შორის ვხვდებით: ალუზიას, ორმაგ კოდირებას, ინტერტექსტს, რიზომას, ფრაგმენტულობას, ირონიას. ტექსტში გადმოცემულია უბრალო გეოლოგის, გიორგი გიორგობიანის ცხოვრება. ამ ნაწარმოებში ჩადებულია კოდები, რომლებსაც სხვადასხვა მკითხველი სხვადასხვაგვარად აღიქვამს, თუმცა, არის გარკვეული ნაწილი, რომელიც განმარტებას საჭიროებს. ამ დროს ავტორი შემოდის ტექსტში და ინყებს მკითხველთან პოლემიკას, რაც ასევე პოსტმოდერნიზმის ნიშანია, დიალოგი მკითხველთან.

„მივემგზავრები მადრიდს!“ მთავარი გმირის, სანდრო ლიჩელის „ოცნებების ასრულება“, ის სასოწარკვეთილების ზღვარზეა და უნომრო პალატაში განაგრძობს ოცნებას. მოთხრობაში ვხვდებით კოდებს, რომელსაც ავტორი განმარტავს. ნაწარმოების ბოლოს იკვეთება ცხოვრების

ირონია მთავარი გმირის მიმართ. შეცდომით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, მას „ამოჭრიან მადრიდს“, მის ოცნებას, სანდრო ლიჩელი თავისივე ოცნების მსხვერპლი ხდება.

ამ ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ნაწარმოებებში უკვე იკვეთება პოსტმოდერნისტული ნიშნები.

მარიამ კვინიკაძე

რენესანსის ეპოქა და მისი გამოვლინება ლიტერატურაში

ფრანგული სიტყვა „რენესანსი“ აღორძინებას ნიშნავს და გაიგივებულია ევროპის ისტორიულ-კულტურულ ეპოქასთან, რომელმაც შეცვალა შუა საუკუნეები. რენესანსის ეპოქაში ადამიანი, მისი საქმიანობის ყველა სფეროში, ცდილობს საკუთარი ძალებით, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საკუთარი გონებით შეიმეცნოს სამყარო. აღორძინების პერიოდში, ყველა ქვეყანაში იქმნება მსოფლიო კულტურის ფასდაუდებელი შედეგები და მათ შორის, არც ინგლისია გამონაკლისი.

ინგლისელები მე-14 საუკუნეს „ჩოსერის ეპოქად“ მოიხსენიებენ ხოლმე და არც არის გასაკვირი, რადგან სწორედ მან შექმნა ლიტერატურა საკუთრივ ინგლისურ ენაზე და პირველმა ჩამოაყალიბა ლიტერატურული ენა, რომლის საფუძველზე განვითარდა თანამედროვე ინგლისური. მისი შემოქმედება, ყოველმა საუკუნემ ახლებურად აღიქვა და შეიმეცნა მისი მდიდარი პოეტური სამყარო. ჩოსერი ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც დღესაც პასუხგაუცემელია, სწორედ ამიტომ, თანამედროვე ადამიანისთვის საინტერესოა მისი შემოქმედება.

მოხსენებაში ვისაუბრებ რენესანსის ეპოქაზე და განვიხილავ ჯეფრი ჩოსერის შემოქმედებას.

ქეთევან კოდელაშვილი

სიყვარულის მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მთავარი და არსებითი მოტივი და თემაა სიყვარული. პოეტი იზიარებს იმ ტრადიციას, რომელიც ამ თემაზე შექმნილა ქართულ ლიტერატურაში. ბარათაშვილის შემოქმედებაში იგრძნობა, როგორც სიყვარულის რუსთველისეული კონცეფცია – ღვთაებრივი სიყვარულის გაგება, ისე ქართველი რომანტიკოსების, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ტექსტებში ასახული სიყვარულის ორი განსხვავებული მხარე: შვება-ბედნიერება, ერთი მხრივ, და ჭირთა თმენა, მეორე მხრივ.

სიყვარულის მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში შესაძლებელია განვიხილოთ ლიტერატურული და ფილოსოფიური პერსპექტივებიდან. მოხსენებაში ვისაუბრებთ სიყვარულის კონცეფციაზე ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომანტიზმის ეპოქაზე და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში.

მონიკა კუკავა

თანამედროვე ახალგაზრდული საგანმანათლებლო პროექტები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში

საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების აღსადგენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმარება და განვითარება.

ახალგაზრდული საგანმანათლებლო პროექტების როლი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, თანამედროვე ეტაპზე შესწავლილი არ არის.

ახალგაზრდებს, კულტურული დიფუზიის იდეის კონსტექსტიდან გამომდინარე, ასაკობრივი თავისებურება ხელს უწყობს, ადვილად გამოინახონ საერთო ენა, რაც თავის მხრივ, ზრდის ეთნიკური ტოლერანტობის დონეს და ა.შ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ჩემს მოხსენებაში განხილული იქნება:

1. საგანმანათლებლო პროექტების როლი აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში.
2. ლიბერალურ-დემოკრატიული იდეები ახალგაზრდულ პროექტებში.
3. ახალგაზრდების ყოველდღიური გამოცდილება და ახალი საგანმანათლებლო პროექტების მოთხოვნილება.

ნინო კუცია

ინგლისური სიტყვები – “Way” და “Road” და მათი ქართული კორელატი „გზა“

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვები – “Way”, “Road” და მათი ქართული შესატყვისი, ანუ კორელატი „გზა“. კვლევის პრცესში შევისწავლე ამ სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა, შევადარე ერთმანეთს ამ ორი ინგლისური სიტყვის და მათი კორელატის სხვადასხვა მნიშვნელობა. თეორიული მასალა მოპოვებულია წიგნებიდან: (“A COURSE IN MODERN ENGLISH LEXICOLOGY” by R. S. Ginzburg, S. S. Khidekel, G. Y. Knyazeva, A. A. Sankin. 1979. Pp.33-39.); (“An Outline of English Lexicology” by Leonhard Lipka, , 1992. Pp 94-98, 135-139, 142-144). ემპირიული მასალა მოპოვებულია ლექსიკონებიდან: კემბრიჯის ლექსიკონი (Cambridge Dictionary), ოქსფორდის ლექსიკონი (Oxford Learner’s Dictionary), Online Etymological Dictionary, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (www.megrulad.ge); საილუსტრაციო მაგალითები აღებულია ვეფხისტყაოსნიდან, ანდაზებიდან, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან.

საკვლევი სიტყვების გამოყენება შესწავლილია ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, იდიომებსა და ანდაზებზე დაყრდნობით. ასევე გაანალიზებულია მოცემული ძირებიდან ნანარმოები სიტყვები.

შეპირისპირებითა კვლევამ გამოავლინა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის: მსგავსებაა ის რომ, ორივე ენაში სიტყვა „გზას“ აქვს ერთნაირი ძირითადი მნიშვნელობები, მაგ.: მიწის ზედაპირზე გაყვანილი ზოლი, განკუთვნილი მიმოსვლისათვის; ადგილი, ხაზი სივრცეში, სადაც ხდება მიმოსვლა, გადაადგილება; ასევე _ მიმართულება, გეზი, მარშრუტი. მსგავსია ლექსიკონებში განმარტებების თანმიმდევრობაც, თუმცა განსხვავებები გამოვლინდა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, მაგ.: Road – tall road – ფასიანი გზა, საბაჟო, ქართულ ენაში მსგავსი მაგალითი არ არსებობს. ან კიდევ Companion way _ გემზე ასასვლელი კიბე. ქართული სიტყვიდან „გზა“ ნაწარმოებია შემდეგი სიტყვები: „საგზალი“, „მოგზაური“, „საგზური“, „მეგზური“, „გზააბნეული“, „გზადაგზა“, „გზა-ასაქცევი“, „გზაუქცეველი“, „გზაკვალი“, „შარაგზა“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური სიტყვა “Way” უფრო მანერას აღნიშნავს, ხოლო ქართული სიტყვა „გზა“ საშუალებას.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ინგლისური სიტყვები- “Road” და “Way” ქართული სიტყვის- „გზის“ კორელატები არიან, თუმცა კვლევის პროცესში გამოვლენილმა მრავალმა.

სემანტიკურმა განსხვავებამ დაადასტურა, რომ ინგლისური და ქართული კორელატები სრულად ვერ ფარავენ ერთმანეთს.

ღია ლოლომადე

ნიკოს კაზანზაკის რომანის "ალექსის ზორბასის ცხოვრების" ინტერმედიალური სივრცე

ნიკოს კაზანზაკი დიდი თანამედროვე ბერძენი მწერალია. მისი რომანი „ალექსის ზორბასის ცხოვრება“ 1946 წელს დაიბეჭდა და გამოქვეყნებისთანავე კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

რომანი მოგვითხრობს ახალგაზრდა ინტელექტუალზე, რომელმაც გადაწყვიტა, დროებით ჩამოშორებოდა ყოველდღიურ ყოფას. ალტერ ეგოს, საკუთარი თავის ძიება წითელ ხაზად გასდევს რომანს. თვით შეცნობის გზაზე მას ალექსის ზორბასი ეხმარება.

ამბავი 1916 წელს პირეუსის კაფეში იწყება. მთავარი გმირს გადწყვეტილი აქვს კრეტაზე არსებული ნახშირის მიტოვებული მალაროს გახსნა და ამუშავება. სწორედ კრეტაზე გამგზავრებამდე ხვდება იგი ზორბასს. საიდანაც იწყება გმირის „ოდისეა“.

წაწარმოებში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. მთხრობელი რომანის უსახელო გმირია.

60-იანი წლებიდან მოყოლებული ნიკოს კაზანზაკის რომანი ხელოვნების არაერთი დარგის ინტერტექსტი და ინსპირაციის წყარო გახდა. მაგ., 1964 წელს რეჟისორმა მიქაილ კაკოიანისმა გადაიღო სრულმეტრაჟიანი ფილმი „ალექსის ზორბასის ცხოვრება“. ეკრანიზაციიდან 4 წლის შემდეგ ბროდვეის სცენაზე დაიდგა ამავე სახელწოდების მიუზიკლიც. ამასთან, სპეციალურად ფილმისათვის დაინერა მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით „ზორბას ცეკვა“.

წაწარმოში შესწავლილია ნ. კაზანზაკის რომანის „ალექსის ზორბასის ცხოვრება“ ინტერმედიალური ადეპტები, განხილულია რომანის გავლენა ხელოვნების სხვადასხვა დარგზე. ყურადღება გამახვილებულია, თუ რამდენად ითვალისწინებს კინო-სცენარი რომანს, რა მსგავსება-განსხვავებები არსებობს ამ ორ ტექსტს შორის და რამდენად წარმატებული აღმოჩნდა რომანის ეკრანიზაცია.

ანა ლომიძე

ქალთა და სეგრეგაციის საკითხები ფენი ფლეგის „შემწვარი მწვანე პომიდვრები კაფე უისელ სტოპის„ მიხედვით

ამერიკის ისტორიაში ყოველთვის აქტუალურ თემად განიხილებოდა ქალთა და სეგრეგაციის საკითხები. მასზე არაერთი სტატია იწერებოდა, იბეჭდებოდა წიგნები, მაგრამ ფენი ფლეგის რომანი „შემწვარი მწვანე პომიდვრები კაფე უისელ სტოპი“ ამ პრობლემების ღრმა ანალიზს ვხედავთ. ერთი შეხედვით მსუბუქ ტექსტში მწერალი დიდი ოსტატობით წარმოაჩენს ისეთ მიძიმე პრობლემებს, როგორცაა სეგრეგაცია, ქალთა უფლებები.

ისტორიულ ქრილში განხილული პრობლემები ზედაპირულია, ხოლო მხატვრულ ლიტერატურაში ის გაცილებით ღრმად წარმოჩინდება, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების ფონზე არის აღწერილი ეს მწვავე საკითხები. მთხრობელი არის მოხუცი ქალი თავშესაფარიდან, რომელიც მოგვითხრობს ოცდაათიანი-ორმოციანი წლების ამერიკელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას. ნაწარმოები ეხება როგორც მე-20 საუკუნის ოცდაათიანი-ორმოციანი წლებს ასევე ეველინ ქაუჩის დროინდელ პერიოდს, კერძოდ კი, ოთხმოციანი წლებს. ნაწარმოებში მოქმედება ხდება 80-იანი წლებში, მაგრამ ქალი თავშესაფარიდან კიდევ გვიამბობს მე-20 საუკუნის დასაწყისის ამბებსაც, ასე რომ ავტორი შესაძლებლობას გვაძლევს სხვადასხვა პერიოდიდან დავინახოთ რასიზმისა და ქალთა საკითხების პრობლემები ამერიკულ საზოგადოებაში.

ნიგნში აღწერილია კაფე უისელ სტოპის ამბები და იქ განვითარებული მოვლენები, რომლებიც ნათლად გვაჩვენებს უთანასწორობის და რასობრივი დისკრიმინაციის ღრმა და ყოველდღიურ დეტალებს, სწორედ ამ სიუჟეტზე დაყრდნობით განვიხილავ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში არსებულ პრობლემებს. კერძოდ კი კვლევის მიზანს წარმოადგენს სეგრეგაცია და ქალთა საკითხები, რომელიც ლიტერატურულ ქრილში, ფენი ფლეგის რომანის „შემწვარი მწვანე პომიდვრები კაფე უისელ სტოპის“ მიხედვით არის განხილული.

ნინო ლომიძე

იმამ შამილი და კავკასიური იდეა

კავკასიელი ხალხების მხრიდან გაერთიანების მცდელობები XIX საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის წარმოებულ ომს უკავშირდება. შამილმა შეძლო ჩრდილოეთ კავკასიაში იმამატის - რელიგიურ პრინციპზე დაფუძნებული გაერთიანების - შექმნა, რომელშიც ჩეჩნეთი და დაღესტანი შედიოდა. ეს იყო მრავალრიცხოვანი თემებისა და ეთნოსუბიექტების გაერთიანების პირველი შემთხვევა. მანვე შექმნა რეგულარული არმია, დაასრულა ჩეჩნეთისა და დაღესტნის ისლა-

მიზაციის პროცესი. ბუნებრივია, ეს არ იყო მთელი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გაერთიანების მცდელობა, შამილის მიზანი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალთა მობილიზაცია გახლდათ. შამილი კავკასიური იდეით ხელმძღვანელობდა. მას კარგად ესმოდა, რომ ცალკე აღებულ ჩეჩნეთსა და დაღესტანს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგ საკითხთა ანალიზი:

1. შამილის იმამატი, როგორც კავკასიის ხალხთა ინტეგრაციის ფაქტორი;
2. იმამ შამილი მცდელობები კავკასიური იდეის განხორციელებისათვის;
3. შამილის იმამატის ფუნქციონირება და ისტორიის გაკვეთილები.

ელენე მალაკელიძე, მარიამ გიორგაძე

ოიდიპოსის სახე ანტიკურობასა და თანამედროვეობაში

საკონფერენციო ნაშრომში განხილული იქნება თებეს ციკლის ერთ-ერთი ტრაგედიის, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ მთავარი პერსონაჟის, ოიდიპოსის სახე. მისი ანტიკური და თანამედროვე იტერპრეტაციები. როგორც ცნობილია, ეს ტრაგედია გვიამბობს „უდანაშაულო დამნაშავის“ წინასწარგანსაზღვრული ბედისწერის შესახებ. ოიდიპოსი ის „ღვთაებრივი შეცდომით“ დამძიმებული პერსონაჟია, რომელიც, რაც უფრო გაურბის საკუთარ ბედისწერას, მით უფრო უახლოვდება ცოდვის ადგილს.

ანტიკურობიდან დღემდე ამ პერსონაჟზე არაერთი მოსაზრება თუ თეორია შემუშავებულა. მე-19 საუკუნეში ზიგმუნდ ფროიდმა ფსიქონალიზში დაამკვიდრა ტემინი „ოიდიპოსის კომპლექსი“. ნაშრომში მოცემული იქნება ოიდიპოსის შესახებ ყველაზე ცნობილი მოსაზრებები. ამ პერსონაჟში ჩადებულია ისეთი თვისება, რომელიც საერთოა ყველა დროის ადამიანისთვის. სოფოკლემ გამოააშკარავა თითოეულ ჩვენგანში არსებული ფარული ზრახვები და სურვილები, რითაც კიდევ უფრო

დაგვაახლოვა ანტიკური ტრაგედიის იდეოლოგიასთან და მისი ინტენციის თანადი ემოციები განგვაცდევინა. პერსონაჟის ამგვარმა მსოფლმხედველობრივმა დატვირთვამ განაპირობა ის, რომ დღეს ოიდიპოსის თემაზე არაერთი ნაწარმოები, ფილმი, ნაშრომი თუ კვლევაა შექმნილი. ეს პერსონაჟი არ კარგავს აქტუალურობა და აგრძელებს სიცოცხლეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური და საინტერესო მხატვრული სახე.

და მაინც, მართალია, ისეთი დიდი შემოქმედის, როგორც სოფოკლეა, ეპოქას არაერთი საუკუნე გვაშორებს, თუმცა მისი ტრაგედიის თემა დღეს ჩვენთვისაც აქტუალური და ნაცნობია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ამ ტრაგედიის თემა უკვდავია. რაც უფრო დიდი დრო გვაშორებს ავთენტურ ტექსტთან, მით უფრო მრავალფეროვანი ინტერპრეტაციები გვხვდება. ოიდიპოსის ზემოხსენებული გააზრება და სხვა მრავალი ფარული ასპექტის განხილვა იქნება ჩვენი საკონფერენციო ნაშრომის თემა.

ელენე მაჭარაშვილი

სიტყვების „People“, „Folk“ და მათი ქართული შესატვისის შეპირისპირებითი ანალიზი

მოხსენებაში წარმოდგენილია ინგლისური სიტყვების – people, folk და მათი ქართული შესატვისის-ხალხი შეპირისპირებითი ანალიზი. კვლევისას შევისწავლე მოცემული სიტყვები სხვადასხვა ჭრილში-ეტიმოლოგიურად, ლექსიკურად, სემანტიკურად, გრამატიკულად, იდიომებში, ანდაზებსა და ლიტერატურაში გამოყენების თვალსაზრისით. ნაშრომში ასევე მოცემულია საკვლევი სიტყვების გამოყენების ფორმები და მათგან ნაწარმოები სხვა სიტყვები.

კვლევისას გამოყენებულია ვებსტერის, ინგლისური ენის ენციკლოპედიური, ქართული ენის განმარტებითი, ორთოგრაფიული, ქართულ სინონიმთა, დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, სხვადასხვა ინტერნეტწყარო, მხატვრული ლიტერატურა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

შეპირისპირებითა ანალიზმა აჩვენა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები საკვლევ სიტყვებს შორის:

ინგლისური სიტყვების – **people, folk** – ძირითადი მნიშვნელობები თანხვედრაშია ქართული სიტყვის-ხალხი-ძირითად მნიშვნელობებთან, თუმცა მოცემული ინგლისური სიტყვების სემანტიკა ბევრად მრავლისმომცველია. მაგალითად **people** და **folk** ორივე აღნიშნავს მეგობრებს, სტუმრებს, მშობლებს, ნათესაებს (**My wife's people**-ჩემი ცოლის ნათესაები; **My folks**-ჩემი ნათესაები), ხოლო მათ ქართულ შესატყვისს მსგავსი მნიშვნელობები არ გააჩნია. ქართულ ენაში სულ რამდენიმე იდიომია, რომელშიც სიტყვა-ხალხი გვხვდება, მაშინ როდესაც ინგლისურ ენაში უამრავი იდიომია სიტყვებზე – **people** და **folk**-აგებული. მოცემულ ინგლისურ სიტყვებს შორისაცაა მსგავსება-განსხვავებები გამოყენების თვალსაზრისით. ორივე მათგანი გვხვდება განსაზღვრებასთან ერთად, მაგალითად **country people** და **country folk**. ორივე აღნიშნავს სოფლის მცხოვრებთ, თუმცა **country people** უფრო ფართოდ გამოიყენება საუბრისას, ვიდრე მეორე მათგანი.

ერთ-ერთი მსგავსება საკვლევ სიტყვებს შორის არის ის, რომ „ხალხი“, „**people**“ და „**folk**“ სამივე გამოიყენება მიმართვის ფორმად შეკრებილთადმი. მაგალითად: ხალხო! ხალხნო და ჯამაათნო! **Hello people!** – მოგესალმებით ხალხნო! **Folks!**-ხალხო! (ეს არის არაოფიციალური მიმართვა ხალხის ჯგუფისადმი).

ღალი მექერიშვილი

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული სამონასტრო განათლება კლუნის მონასტრის მაგალითზე

თანამედროვე ეპოქაში განათლების სისტემა ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს. იგი აქტუალობას ასევე არ კარგავდა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, სადაც გააზრებული ჰქონდათ მისი აუცილებლობა მასების სამართავად. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპისთვის დამახასიათებელია განათლებული მასების თავმოყრა ეკლესია-მონას-

ტრებში, ეკლესიამ დაისაკუთრა საზოგადოების ინტელექტუალური ცხოვრება. ამ ეპოქის განსწავლულობის ძირითად საფუძვლად ბიბლია იქცა. წმინდა წერილიდან მოყვანილი სიტყვებით დამონება უკვე მტკიცე არგუმენტს წარმოადგენდა. ბერძნული და რომაული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლები შეცვალეს საეკლესიო მსახურებმა.

საინტერესოა შუა საუკუნეების სამონასტრო განათლების განხილვა კლუნის მონასტრის მაგალითზე, რომელიც ჩამოყალიბდა სუვერენულ ბერ-მონაზვნურ სახელმწიფოდ. მათი სწავლების სისტემა რიგი სპეციფიკური მახასიათებლებით გამოირჩეოდა. კლუნიელების წვრთნა ყურადღებას ამახვილებდა მეტწილად სხეულზე, რომლის დახმარებითაც ცდილობდნენ ბავშვის გონების ჩამოყალიბებას. მათთვის ბავშვი გაიგივებული იყო ცარიელ თასთან, რომელიც ფიზიკური მორჩილების საფუძველზე ინტელექტუალურად და სულიერად უნდა შეევსოთ. კლუნიელები მისდევდნენ ასკეტურ ცხოვრებას, უარს აცხადებდნენ ამქვეყნიურ ნეტარებაზე, დადიოდნენ მდუმარე სახეებით და შავი ტანსაცმლით. მათი სწავლება ემყარებოდა ბენედიქტიანელთა წესდებას, რომლის მიხედვითაც ბავშვს განიხილავდნენ, როგორც პასიურ მონაწილეს, რომელსაც არ ჰქონდა თავისუფალი არჩევანის საშუალება, ისინი იყვნენ იმიტატორები და არა ინოვატორები, იმეორებდნენ იმას, რასაც ბერები აკეთებდნენ. კლუნის მონასტერში ჩარიცხულ ბავშვებს ეკრძალებოდათ ერთმანეთთან ლაპარაკი. ბერები მაქსიმალურად მკაცრ კონტროლს აწესებდნენ, რათა მათ მიერ დამყარებულ მინიერ სამოთხეში არეულობას არ ეჩინა თავი, ამიტომ იყენებდნენ დასჯის უმკაცრეს მეთოდებს: გამათრახებას, მძიმე მარხვას და მთავარი კითხვაა არა თუ რატომ სჯიდნენ ბავშვებს, არამედ რამდენად ხშირად.

ამრიგად, კლუნიელი ბერები ფიზიკური მორჩილებით ბავშვის გონებას, მენტალობას სასურველი ფორმით აყალიბებდნენ. ისინი ზრდიდნენ არა ინოვატორებს, არამედ იმიტატორებს.

მეგი მიქაბერიძე

სამშენებლო მსხვერპლშენირვასთან დაკავშირებული ხალხური ტექსტები

როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში დასტურდება სამშენებლო მსხვერპლშენირვასთან დაკავშირებული გადმოცემები. მათ შორის უაღრესად პოპულარულია ამა თუ იმ შენობის, ციხე-სიმაგრის თუ ეკლესიის კედელში ჩაშენებული ადამიანების ისტორია.

ქართულ ფოლკლორში სამშენებლო მსხვერპლშენირვა წარმოდგენილია სურამის ციხის ლეგენდით, რომელიც ქართველმა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ თავის მოთხრობას დაუდო საფუძვლად. მოხსენებაში წარმოდგენილია, ასევე რუმინულ და ბალკანეთის სხვა ხალხთა ფოლკლორში მრავალ ვარიანტად ცნობილი ბალადა მშენებელ მანოლას შესახებ, რომელმაც ქალაქის, ციხის თუ ხიდის მშენებლობას საკუთარი ცოლი მსხვერპლად შესწირა. მკვლევრები აღნიშნული სიუჟეტების კოსმოგონიურ საზრისზე მიუთითებენ.

მოხსენებაში სამშენებლო მსხვერპლშენირვის ჩამოყალიბება, მასთან დაკავშირებული რიტუალური სიმბოლოები და ამ ჟანრის ხალხური ტექსტების წარმოშობა განხილულია კომპარატივისტულ ჭრილში.

ნანა მიხანაშვილი

სიონიზმი საქართველოში

საქართველოში სიონიზმის ჩამოყალიბება XX საუკუნიდან იწყება. ამ პერიოდში აღმოცენებული ეროვნულ-კულტურული მოძრაობა „მაკაბი“ მიმართული იყო ქართველ ებრაელთა ფართო მასების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განათლებისკენ. საქართველოში პოლიტიკური სიონიზმის ფუძემდებელია რაბინი დავით ბააზოვი. დავით ბააზოვმა შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ქართველ ებრაელთა ცხოვრების საფუძვლიან ცვლილებას გულისხმობდა. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი განათლების გზით - ებრაული ენის, ისტორიისა და

ლიტერატურის სწავლებით - ქართველ ებრაელებში ებრაული იდენტობის გაძლიერება იყო. დავით ბააზოვის ინიციატივები არაერთგვაროვნად იყო გაგებული ქართველი ებრაელი ლიდერების მიერ, რომელთა შორისაც მას გამორჩეულად დაუპირისპირდნენ ძმები ხანანაშვილები. შევეცდები, მოკლედ მიმოვიხილო ებრაელთა დიასპორის ყოფა და ქართული ნაციონალიზმის თანადროულად ებრაული ნაციონალიზმის - სიონიზმის ჩამოყალიბების ეტაპები.

ქეთინო მორგოშია

სიტყვების „Breakfast“, „Lunch“, „Dinner“, „Supper“ და მათი ქართული კორელატების ანალიზი

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვები breakfast, lunch, dinner, supper და მათი ქართული ეკვივალენტები ანუ კორელატები - საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების სემანტიკა და ეტიმოლოგია. შევადარე ერთმანეთს ინგლისური სიტყვებისა და მათი კორელატების სხვადასხვა მნიშვნელობები. აგრეთვე, აღმოვაჩინე მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები. მასალა მოპოვებულია ვებსტერის, კემბრიჯის, ოქსფორდის, დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონებიდან, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან, მხატვრული ლიტერატურიდან და ცოცხალი მეტყველებიდან.

საკვლევი სიტყვების გამოყენება შევისწავლე იდიომებში, გამოთქმებსა და ანდაზებში. ამასთანავე, გავაანალიზე მოცემული სიტყვების ძირებიდან ნაწარმოები და შედგენილი სიტყვების მნიშვნელობა.

შეპირისპირითმა კვლევამ ცხადყო შემდეგი მსგავსება-განსხვავებები მოცემულ ორ საკვლევ ენას შორის:

კორელატების ძირითადი მნიშვნელობები ემთხვევა ერთმანეთს. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ lunch - ის ეკვივალენტად ქართულ ენაში გვაქვს ლანჩი - ინტერნაციონალური სიტყვა, რომელიც ინგლისური ენიდან შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ენაში. ლანჩი ძირითადად

გამოიყენება ცოცხალ მეტყველებაში და აღნიშნავს შუადღის ნახემსებას. ინგლისურ Lunch- ს აგრეთვე აქვს ოფიციალური საუზმის მნიშვნელობა, ქართული „ლანჩისგან“ განსხვავებით. ანუ ინგლისური სიტყვებისა და მათი კორელატების მნიშვნელობები სრულად არ ფარავენ ერთმანეთს მიუხედავად იმისა, რომ მათი ძირითადი მნიშვნელობები ემთხვევა ერთმანეთს. ინგლისურ ენაში აგრეთვე დამკვიდრდა სიტყვა brunch, რომელიც მიიღება breakfast-ისა და lunch-ის შეერთებით. ცხადია, მოხსენებაში გაანალიზებულია ამ სიტყვის სემანტიკა და გამოყენება.

ინგლისურ იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ზემოთ ჩამოთვლილი ინგლისური სიტყვების შესწავლამ ცხადჰყო, რომ მათი მნიშვნელობები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ქართულ კორელატებს. მაგალითად, hand in one's dinner pail - ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც „ჩაიღურის წყალი დალია“, ან ცოცხალ მეტყველებაში გამოყენებული ფრაზა შეიძლება შეესატყვისოს, „ნერილი წაიღო“. მოცემული მაგალითის მიხედვით ვასკვნით, რომ ამ ფრაზებს სიტყვა dinner-თან კავშირი არ აქვს.

ალექსანდრე მოქცევაშვილი

მეორე დიდი გამოღვიძება და ჩარლზ ფინი

„დიდი გამოღვიძების“ პირველი ტალღა მეთვრამეტე საუკუნეში მიმდინარეობდა. უშუალოდ ტერმინი კი შეიქმნა იმ ახალი ფენომენის აღსაწერად, რომელმაც ამერიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა და გარდამტეხი როლი ითამაშა ამერიკელი ხალხის მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში. დიდი გამოღვიძება ამერიკულ საზოგადოებაში პურიტანიზმისდროინდელი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური კონცეფციების გადააზრებას გულისხმობდა რასაც მოყვა ე.წ. სულეირი აღორძინება.

ამერიკის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1790-იან წლებში დაწყებულ „მეორე დიდი გამოღვიძებას“, რომლის საფუძველზეც ქვეყანამ მნიშვნელოვანი სიახლეები შეიძინა. რომელთაგან ყველაზე მნიშ-

ვნელოვანია განათლების სისტემის ორგანიზება, პენიტენციურ დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ადამიანის უფლებებისადმი არსებული შეხედულებების მკაფიო ცვლილება, კერძოდ ქალებისათვის იმ დროში არ არსებული უფლებების წინა პლანზე წამოწევა. აღსანიშნავია, მნიშვნელოვანი ცვლილებები ეკლესიაში, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მორწმუნე ადამიანების რიცხოვნობის ზრდა.

ჩემს მოხსენებაში დეტალურად განვიხილავ ამერიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის „მეორე დიდი გამოღვიძების“ პერიოდსა და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ფიგურას ევანგელისტ - ჩარლზ ფინს. კვლევაში დავეფუძნე პირველწყაროს, წიგნს: „TRUE CHRISTIANITY“ („**ნამდვილი ქრისტიანობა**“), რომლის ავტორიც ჩარლზ ფინია. აგრეთვე დავეყრდნობი თავად ფინის ავტობიოგრაფიასა და ამ თემაზე არსებულ სტატიებს. გარდა ამისა, გავეცანი იმ ამერიკელ ისტორიკოსთა შეფასებებს, რომლებიც ცდილობდნენ გაცნობოდნენ იმ სოციალური გარემოს, რომელშიც ვითარდებოდა ზემოაღნიშნული მოვლენები. მათი შესაფასებები კი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩემს ნაშრომში.

მოხსენების მიზანია, მკაფიოდ წარმოვაჩინო ჩარლზ ფინის მნიშვნელობა მეორე დიდი გამოღვიძების ეპოქაში, მისი ქადაგებების თავისებურება და ძირითადი საღვთისმეტყველო შეხედულებები, უფრო ღრმად ჩავწვდეთ და გავიაზრო მისი მოძღვრებები და ავხსნა, თუ რა განაპირობებდა მის ესოდენ პოპულარობას.

მიხეილ ნიკოლეიშვილი

თანამედროვე გეოპოლიტიკური ძვრების ისტორიული საფუძვლები ჩინეთის მაგალითზე

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მსოფლიოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსიით იყო განპირობებული. თუ 1980 წელს ჩინეთის წილი მსოფლიო ეკონომიკაში დაახლოებით 2% შეადგენდა, დღეს თავისი სიდიდით ჩინეთის

ეკონომიკა მსოფლიოში პირველია. სწრაფი განვითარების შედეგად ჩინეთმა უკან მოიტოვა როგორც აშშ, ისე ევროზონა. ჩინეთის აღზევების ფონზე ბოლო 40 წელიწადში განახევრდა როგორც ევროზონის, ასევე იაპონიის წილი მსოფლიო ეკონომიკაში, ხოლო აშშ-მ დაკარგა პირველი პოზიცია და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მსგავსი წარმატება გარდა სპეციფიკური და განსაკუთრებული ეკონომიკური მიდგომისა, განაპირობა ჩინეთის პოლიტიკური სისტემის მდგრადობამ. პოლიტიკური გარემოს სტაბილურობა განსაზღვრავს ეკონომიკურ სტაბილურობას და აძლევს ჩინეთს საშუალებას ორიენტირებული იყოს გრძელვადიან პერსპექტივებზე მსგავსად 70-იანი წლებისა, როდესაც საკუთარი ჩამორჩენილობის აღიარებამ ჩინეთს საშუალება მისცა კონცენტრირებულიყო ეკონომიკურ განვითარებაზე და ჩაეყენებინა პოლიტიკა ეკონომიკის სამსახურში, თუმცა ბოლო პერიოდში აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობის გაუარესებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ამერიკულ ბიზნესს, რომელსაც ჩინეთში მასშტაბურად ოპერირებს.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკა ჩინეთის ბაზრის ყველაზე დიდი მომხმარებელია. აშშ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩინეთზე დაბალფასიანი საქონლის მოპოვებაში, რაც დაბალშემოსავლიან ამერიკელებს საშუალებას აძლევს გაიტანოს თავი. აშშ ასევე დამოკიდებულია ჩინეთზე საკუთარი ექსპორტის ხელის შეწყობაში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია აშშ დამოკიდებულია ჩინეთზე, რათა უზრუნველყოს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება. ჩინეთი არის აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების უდიდესი უცხოელი მფლობელი - დაახლოებით 1.3 ტრილიონი დოლარი პირდაპირი საკუთრებაში და სულ მცირე, კიდევ 250 მილიარდი დოლარი ქაღალდი. ჩინეთის ყიდვის ნაკლებობამ შეიძლება სახაზინო მარაგის მორიგი აუქციონზე გატანა გამოიწვიოს. ამერიკა დამოკიდებულია ჩინეთზე აშშ-ს ეკონომიკის სტრუქტურაში არსებითი სისუსტის გამო - შიდა დანაზოგების ღრმა და შემამფოთებელი ნაკლებობა. 2017 წლის მეოთხე კვარტალში, შიდა საშინაო დანაზოგის მაჩვენებელმა ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 1.3% იყო. შიდა დანაზოგების არარსებობა და მოხმარების ზრდა იძულებულს ხდის შეერთებულ შტატებს რომ შემოიტანოს უცხოური დანაზოგების ზედმეტი და ამ კაპიტალის იმ-

პორტირება მოახდინოს გადასახადების ბალანსისა და სავაჭრო დეფიციტის დიდი მოცულობით.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნეში დაწყებულმა და 30-იან წლებში დიდი დეპრესიით დასრულებულმა გლობალურმა სავაჭრო ომმა კიდევ უფრო გააძლიერა და გამოიწვია პოლიტიკური ძალათა თანაფარდობის ძირეული ცვლილებები, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა და კორექტივები შეიტანა თანამედროვე საერთაშორისო წესრიგში.

ეთერ ნოზაძე

ინგლისური სიტყვების „Win“, „Lose“ და მათი ქართული კორელატების ანალიზი

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვები win, lose და მათი ქართული კორელატები - მოგება და წაგება. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების სემანტიკა და ეტიმოლოგია. ერთმანეთს შევადარე მოცემული ინგლისური სიტყვებისა და მათი კორელატების სხვადასხვა მნიშვნელობა, რის შედაგადაც გამოვავლინე გარკვეული მსგავსებები და განსხვავებები მათ შორის. გარდა ამისა, შევისწავლე, თუ რომელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, იდიომებსა და ანდაზებში გამოიყენება ეს სიტყვები და რა მნიშვნელობა აქვს მათ ამ კონკრეტულ შემთხვევებში. ამასთანავე, გავაანალიზე მოცემული ძირებისაგან ნაწარმოები და შედგენილი სიტყვები.

მასალა მოპოვებულია სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულიდან“, თამარ და ისიდორე გვარჯალაძეების „ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან“, უებსტერის, კემბრიჯის, ოქსფორდის, დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან და ცოცხალი მეტყველებიდან.

კვლევამ ცხადყო ამ სიტყვების შემდეგი მსგავსება-განსხვავებები მოცემულ ორ ენაში:

ინგლისური win, lose და მათი ქართული კორელატები მოგება, წაგება მეტ-ნაკლებად მსგავსი მნიშვნელობის მქონენი არიან. Win/მოგება

ძირითადად გულისხმობს ბრძოლაში, შეჯიბრში, არჩევნებში, თამაშსა თუ სხვა მსგავს სიტუაციებში გამარჯვებას, მოგებას. ისინი დადებითი კონოტაციის სიტყვებია, ხოლო **lose/** წაგება კი, პირიქით, დამარცხებას ნიშნავს. თუმცაღა, ინგლისურ სიტყვას **lose** მის ქართულ კორელატთან შედარებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და არა მხოლოდ წაგებას ან დამარცხებას, არამედ რაიმეს დაკარგვას, შესაძლებლობისა თუ შემთხვევის ხელიდან გაშვებასა და ასევე დაღუპვასაც გულისხმობს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოგება და წაგება და **win and lose** ანტონიმური წყვილებია, ამიტომაც ისინი ხშირად გვხვდება ერთად როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ანდაზებსა და შესიტყვებებში. მაგალითად: *მოგება და წაგება ძმები არიან, lose or win;* ან ქართული გამოთქმა *ხან მოიგებ, ხან წააგებ* და მისი ინგლისური შესატყვისი *win a few, lose a few.*

ლუიზა პაპალაშვილი, ელენე ბეროზაშვილი

მედეას სახე და მისი თარგმანი დიანა ანფიმიადის ლექსს „მედეა“ ინგლისური და გერმანული თარგმანების მიხედვით

თარგმანს თანამედროვე ლიტერატურაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ვეცნობით სხვადასხვა ქვეყნის კულტურასა და სააზროვნო სივრცეს. საინტერესოა, როგორ ართმევს თავს მთარგმნელი ამ უდიდეს გამოწვევას, რა სირთულეებთან უწევს მას შეჭიდება, როგორ ასახავს მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს თარგმანში და რამდენად სწორად გადმოსცემს ნაწარმოების მთავარ თემასა და იდეას.

ამ ყველაფრის ნათელსაყოფად განვიხილავთ ქართველი ავტორის, საბას პრემიის ლაურეატის, დიანა ანფიმიადის ლექსს „მედეა“ ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. შევადარებთ მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს, ვეცდებით დაგანახოთ თუ როგორ შეიძლება ითარგმნოს მეტაფორები. საინტერესოა, როგორ არის გადმოცემული ლექსში მთავარი იდეა და რამდენად ესადაგება ის ორგინალში წარმოდგენილს. განვი-

ხილავთ მედეას სახეს და მის კულტს, როგორც მარადიულ თემას, რომლის მრავალმხრივ განვრცობა შეიძლება. ვიმსჯელებთ, თუ როგორ დამკვიდრდა მედეას მითოსური პერსონაჟი ისტორიაში, კულტურასა და ლიტერატურაში. გარდა ამისა, ყურადღებას მივაქცევთ ლექსის ტრანსფორმაციას თარგმანში, კერძოდ, როგორ შეიცვალა მისი სტრუქტურა, როგორ შეერწყა ლექსის იდეა და რითმა ერთმანეთს. ვეცდებით ვიპოვოთ დედნის ინფორმაციასა და თარგმანს შორის არსებული დინამიკური კავშირი.

ნინო ჟღენტი

ასოციაციური კავშირები და სიმბოლოები ჰაროლდ პინტერის პიესაში „დაბადების დღე“ [The Birthday Party]

ჰაროლდ პინტერის პიესაში „დაბადების დღე“ (1957) მინიმუმამდეა დაყვანილი თხრობის ხატოვანება თუ სიუჟეტური მრავალფეროვნება, მიუხედავად ამისა ნაწარმოებში გვაქვს უამრავი ასოციაციური და სიმბოლური ხატი. დაბადების დღის აღსანიშნი წვეულების პარალელურად ტექსტში მიმდინარეობს მოქმედ პირთა რიტუალურ როკვაში გადაზრდილი ქმედება, სადაც პროტაგონისტი სტენლი ვებერი ხან მსხვერპლშესანიშნად განწირული არსების შთაბეჭდილებას ტოვებს, ხანაც იმქვეყნიურ მსაჯულთა მიერ განსჯილისა და გაკიცხულის. პიესა იწყება იმით, რომ პანსიონატს, რომელსაც ცოლ-ქმარი მართავს და სადაც ერთადერთი სტუმარი სტენლი ვებერია, მოულოდნელად ეწვევა ორი უცნობი მამაკაცი, რაც თავიდანვე იწვევს მთავარი გმირის შეშფოთებას, მკითხველში კი ასოციაციას ფრანზ კაფკას რომანთან „პროცესი“, სადაც ასევე ვხვდებით ორ უცნობ მამაკაცის და მათი მოსლით გამოწვეულ არასახარბიელო სიუჟეტურ განვითარებას. ამასთან ერთად, ჰაროლდ პინტერის პიესა, მთელი თავისი რითმულობითა და აქცენტებით გვახსენებს ტომას ელიოტის ლექსს „სუინი აგონისტი“, სწორედ ამ ორი ნაწარმოების ერთმანეთთან შედარებით ირკვევა დაბადების დღის წვეულების „Danse Macabre“-სთან თანაზიარობა, სადაც ცოცხლებსა და მკვდრებს ერთად

გაუმართავთ რიტუალური როკვა. საინტერესოა ისიც, რომ პიესა სავსეა რელიგიური ასოციაციებით, კონკრეტულად, განკითხვის დღესათან დაკავშირებით, რადგან სწორედ მიქელისა და გაბრიელის პოზიციაში შეიძლება წარმოვიდგინოთ სანატორიუმის ორი ახალწვეული, რომლებიც ფაქტობრივად დაკითხვას უწყობენ სტენლის და ერთგვარი განაჩენის სახით, გაურკვეველი მიმართულებითაც მიჰყავთ ნაწარმოების ბოლოს. აღსანიშნავია, რომ საქმე ეხება პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებს და გასაკვირი არაა თხრობისა თუ სიუჟეტის სიმჭიდროვე, რომელსაც თან გასდევს ერთგვარი ირონიული ტონიც, მაგალითად ისეთი აღმოსავლური ტრადიციის პაროდულ ქრილში განხილვა, როგორცაა „ჩაის სმა“. აღნიშნულ ჩინურ ადათს თან ახლავს ფილოსოფიური ჭვრეტა მაშინ, როდესაც პინტერის პიესაში ჩაის სმა უბრალოდ რუტინა და ყოველდღიური ცხოვრების მომაბეზრებელი ნაწილია, რაც ხაზს უსვამს, რომ ამ პერსონაჟებს პერსპექტივაც კი არ აქვთ ფილოსოფიური ჭვრეტის ან კათარზისის განცდისა.

ქეთი საყვარაშვილი

პროექტი „ხუნძური ენის ელექტრონული ბიბლიოთეკა“

საქართველოში ხუნძური ენის მეცნიერულ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. არაერთი მნიშვნელოვანი მასალა სწორედ აქ გამოქვეყნდა, დაწყებული პეტრე უსლარის „ხუნძური ენიდან“ (ლითოგრაფიული გამოცემა, თბილისი, 1863).

დღეს სავსებით შესაძლებელი და აუცილებელიც კია ათწლეულების განმავლობაში გამოცემული მასალა იყოს ხელმისაწვდომი.

ხუნძური ენის შესახებ შექმნილ საენათმეცნიერო ნაშრომთა ერთიანი ელექტრონული ბაზა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსწორებას ემსახურება ჩვენი სტუდენტური პროექტი „ხუნძური ენის ელექტრონული ბიბლიოთეკა“. ის აერთიანებს სხვადასხვა დროს საქართველოში გამოცემულ საენათმეცნიერო პროდუქციას ხუნძური ენის შესახებ. მასალა აღნუსხულია და შეტანილია სპეციალურ

ბიბლიოგრაფიაში, რომელიც ძირითადად ეყრდნობა გურამ თოფურის „იბერიულ-კავკასიურ ენათა ლინგვისტურ ბიბლიოგრაფიას“ (თბ., 2014). მასში აღნუსხულია შრომები, გამოცემული 2004 წლამდე, ხოლო შემდგომ დაბეჭდილ ნაშრომთა მონაცემები დამატებულია ჩვენ მიერ.

ნაშრომთა სია წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. სათაური მითითებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (საჭიროების შემთხვევაში – სხვა ენებზეც). თარგმნილი სათაური ვარსკვლავითაა აღნიშნული. სტატიები სათანადო განყოფილებაში (გამოცემის წელი) დალაგებულია ანბანის მიხედვით (ავტორთა გვარებით).

პუბლიკაციათა განლაგება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ პირს ხუნძური ენის შესწავლის ისტორიის შესახებ.

ნაშრომთა ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილი იქნება PDF (ფოტოპირები) ან/და MS Word დოკუმენტის (აკრეფილი ტექსტები) სახით. გაციფრებული ნაშრომები აიტვირთება თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

პროექტის დასრულება 2024 წლისთვისაა დაგეგმილი.

„ხუნძური ენის ელექტრონული ბიბლიოთეკა“ ნაწილია იმ პროექტისა, რომლის მიზანია ნახურ და დალესტნურ ენათა შესახებ საქართველოში გამოცემული მასალების შეკრება და დიგიტალიზაცია, მისი შესრულება სამომავლოდ გვაქვს განზრახული.

ნიწო სერვასტიანცი

თევდორეს ორი ქებათა-ქება (შოთა ნიშნიანიძის „თევდორე“; გივი გეგეჭკორის „თევდორე“)

შოთა ნიშნიანიძემ მრავალი შესანიშნავი პატრიოტული ლექსი შესძინა უახლეს ქართულ პოეზიას. მისი ნიჭი, უპირველესად, სწორედ ამ მიმართულებით წარმოჩნდა ყველაზე მძაფრად. სამშობლოს სიყვარულის განცდა ასულდგმულებს „თევდორესაც“ - თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ შედევრს. „თევდორე“ არაერთხელ ქცეულა განსჯის საგ-

ნად. ამ ვრცელ ლექსში რამდენიმე სხვადასხვაგვარი განწყობა ეხლართება ურთიერთს: ლირიკული, ჰეროიკული, მძაფრად ზეანეული, პათეტიკური, განსჯით-შემფასებლური, კრიტიკული პათოსი და ა. შ. თევდორე ბერისადმი, როგორც გმირისადმი, ავტორი განმსჭვალულია აღტაცებით, მაგრამ, ამავე დროს, სიბრალულის ფაქიზი გრძნობითაც იხსენიებს მას.

პოეზიისაგან საქართველოში ხშირად მოითხოვდნენ, რომ იგი ყოფილიყო გამოძახილი: საყოველთაო საჭირობო სატკივრისა, გლოვისა და სატანჯველისა. რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ეს ყოველივე პოეტის პირადი განცდების თანაზიარი იქნებოდა. და თუ შოთა ნიშნიანძის ლექსებს ხშირად მსჭვალავს პოლიტიკური ტენდენციურობა, ეს მისასაღმებელია! ესაა კლასიკური ქართული პოეზიის მემკვიდრეობის ერთგულეობა. ამ უკანასკნელს ეხმიანება გივი გეგეჭკორიცი, რომელსაც ძალიან კარგად აქვს აღწერილი თევდორეს სახე ლექსში „თევდორე“.

ნინო სირბილაძე

ამერიკელი დიპლომატების კომენტარები აგვისტოს ომზე

2008 წლის 8 აგვისტოს ომი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საგარეო პოლიტიკისთვისაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ის გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ომის გამომწვევ მიზეზებთან თუ უშუალოდ მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი დიპლომატები აქტიურად იყვნენ ჩართული ამ ომის მოვლენებში. ომს წინ უძღოდა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისთვის გადამწყვეტი რამდენიმე ფაქტი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობის სფეროში, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯორჯ უოლკერ ბუშის ვიზიტი.

მოხსენებაში გავაანალიზებ ამერიკელი დიპლომატების დამოკიდებულებას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მიმართ. სა-

კონფერენციო მასალად გამოყენებული ინფრომაცია უმთავრესად ეფუძნება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის, რონალდ ას-მუსის წიგნს „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“. აგრეთვე გამოყენებულია ამერიკელ დიპლომატთა ინტერვიუები, მოგონებები აგვისტოს ომის შესახებ. თემის დასამუშავებლად წარმოდგენილი მასალა ასევე მოძებულია ამერიკული პრესიდან, რომელშიც აღნიშნულია ამერიკის წამყვან პირთა კომენტარები. საყურადღებოა თ. ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი ამ ისტორიულ მოვლენაზე, რომელშიც კარგად ჩანს შტატების დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებზე, აშშ-ის პრეზიდენტის მოლაპარაკებები ევროპის მნიშვნელოვან ქვეყნებთან.

მოხსენების მიზანია ამ კომპლექსურ ომში ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატების ჩართულობის განსაზღვრა. აგრეთვე განხილული იქნება იმ პერიოდის დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

კვლევის შედეგების მიხედვით, ამერიკელი დიპლომატები ობიექტურად აფასებენ მომხდარს, კომენტარს აკეთებენ საქართველოსა და რუსეთის წამყვან პირთა მოქმედებებზე.

თამარ სიქურაშვილი

„ფატიმა“ - პოემა და ფილმი

მოხსენების მიზანია კოსტა ხეთაგათის პოემა „ფატიმასა“ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმის შედარებითი ანალიზი. მასში დეტალურად არის განხილული როგორც პოემის, ასევე ფილმის სიუჟეტი, შესავალი, კულმინაცია და დასასრული.

როგორც კვლევამ აჩვენა, ფილმი და პოემა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, რაც შეიძლება განპირობებული იყო, ერთი მხრივ, იდეოლოგიური სტერეოტიპებით, მეორე მხრივ, რეჟისორის მხატვრული ჩანაფიქრის გამო. ფილმის რეჟისორებმა ერთი-ორად გაამუქეს პერსონაჟთა დადებითი და უარყოფითი მხარეები, რათა მძაფრი შეგრძნებები

დაუფლებოდა მაყურებელს, თუმცა პოემაში არანაკლებ ოსტატურადაა გადმოცემული გმირთა სახეები.

მოხსენება წარმოაჩინეს კოსტა ხეთაგათის პოემის არაერთ ღირსებას, მასში ასახულ კავკასიურ ტრადიციებს, სოციალურ ფონს, ადამიანურ ურთიერთობებს.

ილა სიხარულიძე

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიები

ნაციონალიზმი ერთ-ერთი იმ ფენომენთაგანია, რომლის შესწავლაც სათანადო ყურადღება აკადემიურ სივრცეში მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაეთმო. ფაქტია, რომ ნაციონალისტური სენტიმენტები დღესაც პოპულარობით სარგებლობს მსოფლიო მოსახლეობის დიდ ნაწილში და, როგორც ბენედიქტ ანდერსონი აღნიშნავს, ნაციონალიზმის დიდი ხნის ნაწინასწარმეტყველები დასასრული ჯერ ისევ არ ჩანს, ხოლო „ერად ჩამოყალიბება“ (nation-ness) ყველაზე უნივერსალური, ლიგიტიმური ღირებულებაა დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში (Anderson, 1983, 3).

ნაციონალიზმთან დაკავშირებით რამდენიმე დიდი თეორია არსებობს - მონათესავე პერენიალიზმი და პრიმორდიალიზმი, ეთნო-სიმბოლიზმი და მოდერნიზმი.

ჩემს მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ უკანასკნელზე - მოდერნისტულ თეორიაზე. განვიხილავ აღნიშნული თეორიის ორი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ბენედიქტ ანდერსონისა და ერნესტ გელნერის მოსაზრებებს. ორივე მათგანი იზიარებს შეხედულებას, რომ ნაციონალიზმი და ერების ჩამოყალიბება წმინდად მოდერნული ფენომენია და მისი სათავე მე-19 საუკუნეში უნდა ვეძებოთ, თუმცა ორივე მეცნიერი გამოკვეთს განსხვავებულ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დღევანდელი ერების შექმნას.

ერნესტ გელნერი მიიჩნევდა, რომ ინდუსტრიალიზაციამ, ეკონომიკურმა ბუმმა, უნიფიცირებულმა განათლების სისტემამ, ტექნოლოგიის

განვითარებამ, მობილურმა საზოგადოებამ და ჰომოგენურმა კულტურამ საფუძველი ჩაუყარა ერებისა და ნაციონალიზმის შექმნას (Gellner, 1997, 25-31).

რაც შეეხება ბენედიქტ ანდერსონს, მისი აზრით, „ნარმოსახვითი ერთობის“ (როგორც იგი ერს უწოდებს) ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო ბეჭდვითი კაპიტალიზმის, ჟურნალების გაჩენასთან, ლათინური ენის ადგილობრივი ენებით ჩანაცვლებასთან, დინასტიური სამეფოს ნგრევასთან (Anderson, 1983, 1-37).

მოხსენებაში ვისაუბრებ, თუ როგორ განიხილავენ აღნიშნული მეცნიერები ნაციონალიზმის ჩამოყალიბების წინაპირობას, მისი შექმნისთვის აუცილებელ ფაქტორებს, ასევე ყურადღებას გავამახვილებ ნაციონალიზმის იმ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებსა თუ წარმომშობ მიზეზებზე, რომლებსაც გელნერისა და ანდერსონის თეორიებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ.

მარიამ ფიფია

სათაურის პოეტიკა ქართული მოდერნისტული რომანების მიხედვით (კონსტანინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“, გრიგოლო რობაქიძის „გველის პერანგი“)

„ავტორი მხოლოდ ნაწარმოების დასრულების შემდეგ ირჩევს სათაურს, რომელიც ყველაზე ნათლად და ეფექტურად გადმოსცემს მისეულს მესიჯს“ (ჯ. ფიშერი), ამ ციტატით შეგვიძლია განვსაზღვროთ სათაურის მთავარი ფუნქცია ტექსტში, მოგეხსენებათ, რომ ტექსტის ნაკითხვამდე, პირველ რიგში, ყურადღებას ვამახვილებთ სათაურზე. ხელოვანი საკუთარ იდეურ-ემოციურ დამოკიდებულებას, თავის ესთეტიკურ კრედოს და გამოცდილებას უზიარებს მკითხველს, ბუნებრივია, რომ ამ მხრივ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი შინაარსია. სათაური კი მთელი ტექსტის მოკლე შინაარსს წარმოადგენს. ის საკმაოდ ლაკონურადაა წარმოდგენილი, რათა მკითხველმა უფრო მკაფიოდ გააკეთოს შემდეგ კონცენტრაცია მთელს ტექსტზე.

ტექსტის კითხვისას მკითხველს ეუფლება განცდა იმისა, თუ რამდენად ეხმიანება ნაწარმოების სათაური ტექსტის შინაარსს. თუ განვიხილავთ ორ რომანს კ. გამსახურდიას „დიონისეს ლიმილს“ და რობაქიძის „გველის პერანგს“, შევამჩნევთ, რომ ორივე რომანი საერთო კონტექსტშია შექმნილი, თითოეული მათგანი დაბრუნების მოტივზეა, თუმცა გამსახურდიასთან ეს ბოლომდე ვერ რეალიზდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ვაწყდებით სათაურების კავშირს საერთო თემის განსხვავებულ იდეასთან, სწორედ ამიტომ საჭიროა ორივე ტექსტის ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი, რათა ჩავწვდეთ სათაურის ფუნქციას ტექსტში.

დასასრულს აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ტექსტისთვის სათაურის შექმნა შემოქმედებითი მოღვაწეობაა, მწერალმა კარგად იცის, რისთვის და რა მოტივით უნდა შექმნას ნაწარმების სათაური. იმიტომ, რომ ტექსტმა იარსებოს, აუცილებელია დაერქვას მას სახელი.

ზაზა ქარჩავა

დიმიტრი უზნაძე-ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევარი

საქართველოში ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლას თავისი ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდი, საქართველოში ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლისა, არის 1918-1921 წლების, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ხანა.

ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობას, ერთ-ერთმა პირველმა, საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ქართველმა ფსიქოლოგმა, ფილოსოფოსმა, პედაგოგმა და ისტორიკოსმა აკად. დიმიტრი უზნაძემ. დიმიტრი უზნაძემ ჯერ კიდევ 1916 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“ (ხელმეორედ დაისტამბა 1917 წელს), რასაც 1919 წელს მოჰყვა მეორე სახელმძღვანელო „ძველი აღმოსავლეთისა და ძველი საბერძნეთის ისტორია.“ სწორედ, ამ სახელ-

მძღვანელოებზე დაყრდნობით ვისაუბრებთ დიმიტრი უზნაძეზე, როგორც ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევარზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დიმიტრი უზნაძე, როგორც ძველი მსოფლიო ისტორიის მკვლევარი ნაკლებადაა შესწავლილი, არა და ამ მართულელებით მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა, საკმაოდ, მრავალფეროვანია. ის ავტორია სახელმძღვანელოებისა: პირველყოფილი კულტურის ისტორიაში, ძველი აღმოსავლეთის, ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ისტორიაში. უმეტეს წილად, სწორედ, ამ გარემოებამ გვიბიძგა გვესაუბრა მასზე, როგორც ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევარზე.

მოხსენებაში განხილული და შეფასებულია სახელმძღვანელოები, რომელნიც საქართველოში, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენენ. შემთხვევითი არაა, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება, სწორედ, სახელმძღვანელოების შექმნას ენიჭებოდა. ამითი უნდა აიხსნას ის „ისტორიოგრაფიული ბუმი,“ რაც ამ პერიოდის საქართველოში მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების სახით გვაქვს. ცხადია, დღევანდელი გადასახედიდან, ეს სახელმძღვანელოები, ძალზედ, სქემატური და პირობითია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ისინი წარმოადგენენ პირველ მცდელობას ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში სახელმძღვანელოს შექმნისა. გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებდა ის ფაქტიც, რომ იმ დროის ქართველი მოსწავლეები, პირველად, იწყებდნენ მშობლიურ ენაზე მსოფლიო ისტორიის შესწავლას. ამ სახელმძღვანელოებზე დაკვირვებამ მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა, აკად. დიმიტრი უზნაძის ისტორიოგრაფიული კრედიტის შესახებ, წარმოდგენის შესაქმნელად, რითიც საინტერესო კავშირები გამოიკვეთა მის ისტორიოგრაფიულ და პედაგოგიურ შეხედულებებს შორის.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, აკად. დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოები, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში, დიდი ისტორიოგრაფიული დატვირთვის მქონეა და ჩვენ მოხსენებაში ის, სწორედ, ამ კუთხითაა წარმოდგენილი. აღნიშნული სახელმძღვანელოები, სხვა ბევრ რამესთან ერთად, ადასტურებს, რომ 1918-1921 წლების ქართული მეცნიერება სწორი გზით ვითარდებოდა.

თამარ ქოთოლაშვილი

ქალი ავტორი და გენდერული პერსპექტივა, ტონი მორისონის რომანის, „წყალობა,“ მიხედვით

უძველესი ეპოქიდან მოყოლებული ქალი ავტორი თანაარსებობს მამაკაცი ავტორების გვერდით. საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა და გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა ქალის ავტორების მიერ შექმნილი ტექსტები, რომლებისთვისაც ნიშანდობლივია ქალისთვის დამახასიათებელი მდებარეობითი ბუნება და ჟღერადობა. მაგრამ ლიტერატორი ქალები გარკვეულ გამონაკლისებად ითვლებოდნენ და ექმნებოდათ იდენტობის პრობლემები, ვინაიდან ქალისა და მამაკაცის როლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. საუკუნეთა განმავლობაში ლიტერატურა საკმაოდ მიკერძებული იყო. ამდენად, ლიტერატურულ სამყაროში მკვეთრად განსხვავდებოდა ქალისა და მამაკაცის როლი და მათი განვითარების პირობები.

მე-20 საუკუნეში მიმდინარე მრავალმა ფორმალურ-სამართლებრივმა ცვლილებამ დიდი გავლენა იქონია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის გადაზრებასა და ტრადიციული ჩარჩოებიდან გამოსვლაზე. 70-იან წლებში მიმდინარე ფემინისტურმა და გენდერულმა პროცესებმა განაპირობა ქალის, როგორც ინდივიდის, სტატუსის გადაფასება. მწერალმა ქალებმა მეტი ყურადღება გაამახვილეს თავად ქალის უფლებებზე, მის თანამედროვე და ისტორიულ როლებზე. შესაბამისად, მათი შემოქმედება ერთმნიშვნელოვნად ქალური გახდა.

მე-20 საუკუნის შავი ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, აფროამერიკელი ქალი ავტორის, ტონი მორისონის, ტექსტების უმთავრესი მარკერია გენდერული იდენტობა და ქალის სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლა. ნაშრომში განხილული იქნება ქალის საკითხი მისი რომანის, „წყალობა,“ მიხედვით, აშშ-ში გავრცელებული მრავალსაუკუნოვანი დესტრუქციული პირობების ქრილში.

მარიამ ქოსაშვილი

მარტოობა – გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და პოეზიის სიმბოლო

ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება განსაკუთრებული, განსხვავებული და, ამავდროულად, ამოუცნობია. მის შემოქმედებაში მუდმივად იგრძნობა ექსპრესიისა და მარტოსულობის განცდა. გალაკტიონის მსოფლმხედველობა და იდუმალება ყოველთვის გამოარჩევდა მას სხვა შემოქმედებისგან.

რპოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა შეხედულებით, ის შეეწირა იმ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა. გალაკტიონის ჭეშმარიტ სიმარტოვესა და მიუსაფრობას, განსაკუთრებით ცხადლივ, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დაწერილ ლექსებში ვგრძნობთ. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილები, რომელსაც ის ცოლს, ოლია ოკუჯავას სწერდა. ეს წერილები დასტურია იმისა, თუ რას გრძნობდა და განიცდიდა მარტოობაში მყოფი პოეტი.

მოხსენებაში ვისაუბრებთ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების თავისებურებებზე მარტოობის თემასთან კავშირში.

ნანა შენგელია, სოფიო ბაგრატაშვილი

„წმინდა ინკვიზიციის“ უღმერთო სასამართლოები

„წმინდა ინკვიზიცია“ ანუ „წმინდა ტრიბუნალი“ კათოლიკური ეკლესიის დაწესებულებაა, რომლის მიზანია მწვალებლების დევნა, გასამართლება და დასჯა. ტერმინს სპეციალური დანიშნულება მიენიჭა XIII საუკუნეში. ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ სასამართლოს და რეპრესიული ხასიათის სხვადასხვა დაწესებულებას. ინკვიზიციის შექმნა არ ყოფილა თვითმიზანი, ის იყო სასულიერო და საერო პოლიტიკის იარაღი. მთელი კაცობრიობისათვის და კონკრეტულად ევროპის ისტორიისათვის ინკვიზიციის როლი უდიდესია. „წმინდა ტრიბუნალის“ მეშვეობით პაპობამ ევროპაში დიდხანს შეინარჩუნა იდეოლოგიური სიმტკიცე და მასზე

კონტროლი. ღვთის წმინდა იდეების გამოყენებით ისეთ დანაშაულებებს სჩადიოდნენ პაპები, რომელსაც დღის სინათლე არც კი უნახავს, მის შესახებ მხოლოდ წარმოსახვითი მსჯელობა შეგვიძლია.

„წმინდა ინკვიზიციის“ უღმერთო სასამართლოების დაარსების დღიდან „სასარგებლო“ საქმეების განხორციელებისთვის ყველა რანგის ადამიანი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ჯაშუშობას მიმართავდნენ ხოლმე. საკმარისი იყო ინკვიზიტორთან დასმენა, რომ ჯოჯოხეთის საუკუნო სმტანჯველის ღირსადაც არ ხდიდნენ ადამიანებს და ინკვიზიციის მინიერ ტანჯვასაც დაუყოვნებლივ განაცდევინებდნენ. ინკვიზიცია სრულიად დამოუკიდებელი იყო საერო ხელისუფლებისგან. ის განსაკუთრებით მძვინვარებდა ესპანეთში და გამოიყენებოდა როგორც კონტრეფორმაციის იარაღი. კათოლიკური ეკლესიის ეს მძლავრი სადამსჯელო ორგანო საბოლოოდ 1834 წელს გაუქმდა.

დიანა ჩადუნელი

ოჯახური ძალადობა და ქალი ამერიკის ინდიელთა რეზერვაციებში

ამერიკის ინდიელ ქალთა მიმართ ძალადობამ უპრეცედენტო მარვენებელს მიაღწია. ხუთიდან ოთხ ქალს გამოუცდია ძალადობა, როგორც ფიზიკური ისე ფსიქოლოგიური. ინდიელ ქალთა მკვლევლობის ან ტრეფიკინგით გატაცების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენი ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობისა. ინდიელ ქალთა მიმართ ძალადობას ეპიდემიური სახე აქვს მიღებული. ზოგიერთ რეზერვაციაში მათი სიკვდილიანობის მაჩვენებელი ათჯერ მეტია, ვიდრე მთლიანად სახელმწიფოს საშუალო მაჩვენებელი, რაც კატასტროფულად მაღალი რიცხვია.

რეზერვაციებში ქალთა ძალადობა არნახულ სახეს იღებს. ჩემი კვლევის მიზანია, განვიხილო ძალადობის გამომწვევი ფაქტორები, რაც ინდიელთა ყოფიდან გამომდინარეობს.

რეზერვაციაში ცხოვრება საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით კი, ქალებისთვის, ვინაიდან იქ არსებული გარემო მათთვის საკმაოდ საშიშია. ყოველ მე-5 ქალს ერთხელ მაინც გამოუცდია რაიმე სახის ძალადობა მეუღლისგან, მეგობარი მამაკაცისგან, ან სრულიად უცხოისგან. ასი ქალიდან სამი მაინც, მძიმედ შავდება ძალადობის დროს. მოკლულთა ზუსტი რიცხვის დასახელება საკმაოდ რთულია, ვინაიდან უამრავი გაუჩინარებული ქალთა გაუხსნელი საქმე არსებობს. ხშირ შემთხვევაში, გაუჩინარებულ ქალებს მიიჩნევენ სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლად. ჩემს მოხსენებაში ყურადღება დაეთმობა ინდიელ ქალთა კერძო მაგალითების მიხედვით ზოგადი სურათის აღწერას. გარდა ამისა, კონკრეტული ქალბატონის ისტორიიდან გამომდინარე, ვიმსჯელებ, თუ რატომაა გავრეცელებული ინდიელ ქალებზე ძალადობა, როგორც რეზერვაციაში, ისე მის გარეთ.

ჩემს მოხსენებაში განხილული იქნება რეზერვაციებში არსებული სოციალური მდგომარეობა, რაც განმაპირობებელია მოძალადის ჩამოყალიბებისთვის. საუბარი ეხება ალკოჰოლის დამოკიდებულებასთან, რაც მკვეთრად განსზაღვრავს, როგორც მოძალადის, ისე მსხვერპლის ცხოვრებას.

რასაკვირველია, ალკოჰოლზე დამოკიდებულება დღევანდებლობაში უცხო არ არის, თუმცა ამ შემთხვევაში, აქცენტი იქნება რეზერვაციულ ცხოვრებაზე, რაც ალკოჰოლის გარეშე წარმოუდგენელია.

დასკვნის სახით, ვისაუბრებ ასევე პრევენციულ ღონისძიებებზე, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ძალადობის მაქსიმალურად ამოსაფხვრელად, ინდიელ ქალთა სიკვდილიანობის კატასტროფული მაჩვენებლის შემცირებასთან ერთად. გარდა ამისა, ვფიქრობ საინტერესო იქნება, განვიხილო რეზერვაციის მიღმა არსებული მიდგომა და რეალობა, რაც ძალიან დიდ გავლენას ახდენს ინდიელ ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

სალომე ჩანადირი

უოლტ უიტმენის ლექსის – „O Captain! my Captain!“ – ქართული თარგმანების რეცეფცია

უოლტ უიტმენი ამერიკელი პოეტია, რომელმაც ამერიკულ პოეზიაში თავისუფალი ლექსი დაამკვიდრა. უიტმენი აიდვალვდა ხალხის თავისუფლებას და ამ მიზანს პოეზიაში გამოხატავდა. ის ამერიკის სამოქალაქო ომის მომსწრე იყო და, მიღწეული გამარჯვების თანხლებ, ადამიანური სიცოცხლის დანაკარგს ძლიერ განიცდიდა. თავისი ეს გამოცდილება საკუთარ შექმოქმედებაში ასახა.

მისი ლექსი - „O Captain! my Captain!“, ლინკოლნის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ელეგიაა. სამი სტროფი ფორმოზრევად განსხვავებული ორ-ორი კატრენისგან შედგება, რომლებშიც მონაცვლეობს AABB და CDED რითმული სქემები. შესაბამისად, იცვლება რიტმი და ინტონაცია, რაც ელეგიაში წარმოდგენილი მოვლენის - გამარჯვების - მიმართ ურთიერთსანაღმდეგო განწყობას ქმნის, გამოკვეთს ლექსის ელეგიურ დატვირთვას, მის მთავარ სათქმელს. დრამატიზმს აძლიერებს ალიტერაციისა და ანაფორის გამოყენება: „For you...“, „Rise up...“. რეფრენიც, - „O captain! My captain!“, ყოველ ჯერზე კიდევ უფრო დრამატულ ეფექტს იძენს... ამ და სხვა საშუალებებით, ლირიკული გმირის მიერ დანაკარგის სუბიექტური განცდის ფონზე, უიტმენი გამარჯვების თანმდევ ზეიმს ხატავს. ლექსში ყველა დეტალი მხატვრული საშუალებაა, რომლითაც გამოსახულია კონტრასტი - გამარჯვებასა და დანაკარგს, მოვლენის სუბიექტურ და ობიექტურ აღქმას შორის. ამდენად, მათი შენარჩუნება მნიშვნელოვანია თარგმანებში ლექსის იდეების გადმოსაცემად.

ქართულად ამ ლექსის არაერთი თარგმანია შესრულებული. მოხსენებაში განვიხილავთ ზეიად გამსახურდიასა და ვასილ გულეურისეულ თარგმანებს. გამსახურდიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინგლისურენოვანი პოეზიის აქტიურად თარგმნის წამოწყებასა და მის პოპულარიზაციაში. მის მიერ თარგმნილი ამერიკელი პოეტების ანთოლოგია „საბჭოთა საქართველომ“ (1971) გამოსცა. თარგმანებს მაშინვე დადებითი გამხმაურება მოჰყვა. უიტმენის ლექსის თარგმანი - „ო, კაპიტანო,

ჩემო კაპიტანო“, გამომცემლობა „ინტელექტის“ ერთ-ერთ ანთოლოგიაშიც შევიდა. ამავე კრებულშია შეტანილი ლექსის გულეურისეული თარგმანიც. გამოცემის ავტორები დადებითად აფასებენ ამ თარგმანებს.

ზვიად გამსახურდიას თარგმანი დედნის სუბიექტურ ინტერპრეტაციას ეყრდნობა და მის იდეებსაც გარკვეული სახეცვლილებით გადმოსცემს. ფორმობრივი თვალსაზრისით, ამ თარგმანში ორიგინალთან შეუსაბამოა ლექსის სტრუქტურა, რიტმი და ინტონაცია. თარგმანში ნაკლებად იგრძნობა დედნის ელეგიური დრამატიზმი. ზოგან, დარღვეულია შინაარსობრივი მხარეც, რაც ხელს უშლის კითხვისას კონტრასტული ელემენტების წარმოჩენას. ასევე, ამ თარგმანში ყურადღების ცენტრში გამარჯვება ექცევა, ინდივიდუალური ტკივილი კი მხოლოდ მის ფონად აღიქმება (დედანში საპირისპირო ვითარებაა).

ვასილ გულეურისეული თარგმანი სტრუქტურულად მეტად მონესრიგებულია, ყურადღება ექცევა მარცვალთა რაოდენობასა და სტრიქონების განაწილებას. ძირითადად, დაცულია დედნის რითმული სქემაც. თუმცა, მთარგმნელი ვერ ახერხებს რიტმის დედნისეული ცვლილებების გადმოტანას, რითაც, გამსახურდიას თარგმანის მსგავსად, იკარგება კონტრასტის ეფექტი. შინაარსობრივადაც არის მკვეთრი უზუსტობები დედანთან, თუმცა, ინტონაციის შენარჩუნების ფონზე, ისინი ნაკლებ შესამჩნევი ხდება.

ივეტა ცერცვაძე

გმირის ინიციაციის მოდელები ჯადოსნურ ზღაპარში

არქაულ საზოგადოებაში ადამიანები ექვემდებარებოდნენ რიტუალურ გადასვლებს, რომელიც სხვადასხვა ფორმით აისახა ფოლკლორულ ნაწარმოებებში, საგმირო და მითოლოგიურ ეპოსებში, თქმულებებსა და ჯადოსნურ ზღაპრებში.

მთავარი გმირის ინიციაციის პროცესს, თავისი მითოლოგიურ-რიტუალური ფორმითა და ელემენტებით, არ ითვალისწინებს ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა. თუმცა საზღაპრო ეპოსში გვხვდება ფართოდ

გავრცელებული მოტივი, რომლის თანახმად საცოლის მოსაპოვებლად გმირმა უნდა შეასრულოს სხვადასხვა ტიპის სახიფათო და რთული დავალება, რის შემდეგაც იგი გადაინაცვლებს ახალ სოციალურ სტატუსში. ცხადია, ეს ეპიზოდი, თავდაპირველი ფუნქციური საზრისით მოიაზრებს გმირის ინიციაციის პროცესს.

მოხსენებაში წარმოვადგენ გმირის ინიციაციის მოდელებს, მათ შორის ჯადოსნურ ზღაპარში საცოლის მოსაპოვებლად შესასრულებელი დავალების ტიპებს. საკვლევ მასალად გამოყენებულია ქართული, აფხაზური და ოსური ჯადოსნური ზღაპრები, რომლებიც განხილულია კვლევის კომპარატივისტული მეთოდით.

ქრისტინა ცერცვაძე

ინგლისური სიტყვის „Work“ და მისი ქართული შესატყვისების შეპირისპირებითი ანალიზი

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვა work და მისი ქართული შესატყვისები ანუ კორელატები. კვლევის პრცესში შევისწავლე ამ სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა, შევადარე ერთმანეთს ინგლისური სიტყვების და მათი კორელატების სხვადასხვა მნიშვნელობა. ვიპოვე მსგავსებები და განსხვავებები. აგრეთვე განვიხილე ამ ძირებიდან ნაწარმოები და შედგენილი (ორნაწილიანი) სიტყვები. შევისწავლე რომელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, იდიომებსა და ანდაზებში გამოიყენება ეს სიტყვები და რა მნიშვნელობები აქვთ მათ ამ შემთხვევებში. თეორიული მასალა მოპოვებულია წიგნიდან : R. S. Ginzburg, S. S. Khidekel, G. Y. Knyazeva, A. A. Sankin *A COURSE IN MODERN ENGLISH LEXICOLOGY*; T.A. Пактаргыева, 2003, *История Английского Языка*. Москва; J.Algeo, *THE ORIGINS AND DEVELOPMENT OF THE ENGLISH LANGUAGE*.

ემპირიული მასალა მოპოვებულია მარიამ ვებსტერის, ოქსფორდის სასწავლო, ლონგმანის, კემბრიჯის და დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონებიდან¹, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან .

შეპირისპირებითა კვლევამ გამოვლინა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის: მიუხედავად მსგავსებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ორ ენაში სიტყვების სემანტიკა მაინც განსხვავებულია, თუნდაც ამ ენებზე მოლაპარაკეთა ტრადიციების, ისტორიისა და მათი შინაგანი ბუნების განსხვავებულობის გამო.

სიტყვა work-ის ზოგიერთი მნიშვნელობა ემთხვევა ქართულს, თუმცა ინგლისურ ენაში და იდიომებში ვხვდებით ისეთ მნიშვნელობებსაც, რომლებიც ქართულში არ გვაქვს.

მაგალითად, work, როგორც მუშაობა, შრომა, სამუშაო ემთხვევა ქართულ ენაში მის სემანტიკას, მაგრამ work ზოგჯერ გვხვდება მოზელვის, არევის მნიშვნელობითაც, რაც არ შეესაბამება ქართულში სიტყვა მუშაობას, შრომას, სამუშაოს, მაგალითად, to work clay- თიხის მოზელვა/არევა.

ასევე, ინგლისურ იდიომებში სიტყვა work შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მოფიქრება (to work out the answer- პასუხის მოფიქრება), გაგება (I've never been able to work her out), ვარჯიში(He works out in the gym) და სხვ. ამ მნიშვნელობების გადმოსაცემად ქართულ ენაში სხვა სიტყვები გამოიყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა work კონვერსიულია და გამოიყენება როგორც ზმნა, ისე არსებითი სახელი.

ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ სიტყვა work-ს ინგლისურში უფრო მრავალფეროვანი დატვირთვა აქვს, ვიდრე მის შესატყვისებს ქართულში.

ილია ცეცხლაძე

შენდობის თქმის ქრისტიანული ლექსიკისა და სიმბოლიკის ასახვა ეპიტაფიებსა და საფლავის ქვებზე

2019 წლის ივლისსა და აგვისტოში ქვიშხეთის თემში ფოლკლორული ექსპედიციის დროს სხვადასხვა სოფელში ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა უძველესი საყდრები და მათ მიდამოებში, ძირითადად, მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევრის პერიოდში.

დის საფლავის ქვებზე არსებული მარტივი მოხაზულობის, მაგრამ ღრმა შინაარსის მინიატურები თუ ხალხური, გულწრფელი გრძნობით აღსავსე ეპიტაფიები.

როგორც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობს, ჭირისუფალს უმძაფრესი სურვილი აქვს მიცვალებულის ხსოვნა უკვდავყოს, მშვიერიც კი დარჩება და საფლავის ქვას აუცილებლად იყიდის. სწორედ ჭირისუფლის ამ მისწრაფებამ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ეპიტაფიები და სიმბოლიკა შემოგვინახა.

კვლევა განაპირობა ურთიერთმიმართებამ, რომელიც ტაძრებსა (შესაბამისად ქრისტიანობასთან) და მათ მიდამოებში ნაპოვნ საფლავის ქვებზე ამოტვიფრულ ხალხურ ლექსებსა თუ სიმბოლიკას შორის დამყარდა. საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ გადაინაცვლა ხალხის გონებაში არსებულმა სახარების ციტატებმა, შენდობის ლექსიკამ, ქრისტიანულმა მოტივებმა და სიმბოლიკამ საფლავის ქვებზე. გამოაშკარავდა ბიბლიის მრავალი სრული თუ ნაკლები, მცდარი ციტაცია, ცხვრის, ჯვრის, ვაზისა თუ სხვა ქრისტიანულ სიმბოლოთა ასახვის თავისებურება და ა. შ.

ქვიშხეთში მოძიებული მასალისა და ამ თემით დაინტერესების შემდეგ საკუთარი ინიციატივით ვესტუმრე რამდენიმე უძველეს სოფელს. სხვადასხვა თემში მოპოვებული მასალის ურთიერთმიმართების სახით წარმოდგენამ საკითხი კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა.

მარიამ ჭარხალაშვილი

ინგლისური სიტყვა „Play” და მისი ქართული კორელატი „თამაში” სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი

მოხსენებაში განხილულია ინგლისური სიტყვა play, მისი ეტიოლოგია და სემანტიკა, შედარებულია ამ სიტყვის და მისი ქართული კორელატის „თამაშის“ დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობები, გამოკვეთილია მსგავსებები და განსხვავებები. ასევე შესწავლილია ამ

ძირებიდან ნაწარმოები და შედგენილი (ორნანილიანი) სიტყვები. მოხსენებაში ყურადღება ასევე გამახვილებულია იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, იდიომებსა და ანდაზებზე, სადაც სიტყვა play არის გამოყენებული და შედარებულია მნიშვნელობები, რომლებითაც საანალიზო სიტყვა გვხვდება სხვადასხვა ფრაზეოლოგიურ ერთეულსა და კოლოკაციაში.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელოები: R. S. Ginzburg "A course in modern English lexicology" და Leonhard Lipka "An outline of English lexicology". ემპირიული ამსალა მოპოვებულია ოქსფორდის, კემბრიჯის, ვებსტერის, დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონებიდან, ასევე მაგალითები მოყვანილია ცოცხალი მეტყველებიდან.

დიაქრონიულმა კვლევამ აჩვენა, რომ სიტყვა play ინგლისურ ენაში პირველად XIII საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება და XIV საუკუნიდან იძენს სხვადასხვა მნიშვნელობას.

შეპირისპირებითა სემანტიკურმა ანალიზმა გამოავლინა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის: ინგლისური სიტყვა play-ს და ქართული სიტყვა თამაშის ძირითადი მნიშვნელობები ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ინგლისურში მოცემული სიტყვა უფრო ფართო მნიშვნელობებითაც გამოიყენება და მეტი განმარტება აქვს. მაგალითად, ინგლისურში play, როგორც არსებითი სახელი, შეიძლება აღნიშნავდეს პიესას, ხოლო, როგორც ზმნა, აღნიშნავდეს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას. ქართულში კი „თამაში“ დაკავშირებულია მხოლოდ გასართობ მოქმედებასთან ან სპორტულ შეჯიბრთან.

თეკლა ჭინჭარაული

მთის სახისმეტყველება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

მთას, როგორც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახე-სიმბოლოს, მრავალი მწერალი იყენებს და ეხება თავის თხზულებებში. ვაჟა-ფშაველაც, რომელიც მთლიანად მთითაა ნასაზრდოები,

რასაკვირველია, ხშირად იხდის მთის ფენომენს თავისი ფიქრის საგნად. ამ მოხსენებაში ყურადღებას მხოლოდ მის რამდენიმე ნაწარმოებზე გავამახვილებ და მათ მიხედვით განვიხილავთ მთის სახისმეტყველებას ვაჟას შემოქმედებაში.

პირველი, რაც ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გვხვდება თვალში, ალბათ, არის გაპიროვნების ხერხი. მთას მრავალი სხვადასხვა შეხედულებისა თუ ფიქრის გამოსათქმელად იყენებს პოეტი. მოხსენებაში განხილულია მთის გაადამიანურების მალალმხატვრული ნიმუშები „ალუდა ქეთელაურიდან“, „სტუმარ-მასპინძლიდან“ და ასევე ლექსიდან „ღამე მთაში“. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მთები ყველა განსაკუთრებული მოვლენის (მკვლევლობის, თვითმკვლევლობის...) მომსწრენი, განმცდელნი არიან.

მოხსენებაში განვიხილავთ „ალუდა ქეთელაურის იმ პასაჟს, სადაც მთები „კავკასიონის დევებადაა“ მოხსენიებული და პარალელს გავავლებთ გოდერძი ჩოხელის „საწუთროს დევებთან“.

მთისა და ბარის, ხეების ურთიერთობაზე, დამოკიდებულებაზე გვიყვება ვაჟა-ფშაველა ლექსებში „ღამე მთაში“ და „მთა და ბარი“. მისი თქმით, „ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხევსა“ („ღამე მთაში“), ღმერთს ყველაფერი საუცხოოდ დაუმონებია ერთმანეთისთვის, ამითაა აღტაცებული ავტორი და ბუნებაზე აღმატებული, უკეთესი არაფერი ჰგონია. მეორე ლექსში მთის ამაყი და ზვიადი ბუნება იკვეთება. იგი სალი კლდეებით, თოვლ-ყინულით ამაყოფს და დიდად არ „ეჭაშნიკება“ „ვარდის გაფურჩქვნა დილითა“. თუმცა ბარისთვის ცერად დამყურე მთას პოეტი ეუბნება, რომ „საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს“.

ძალზე საგულისხმოა ლექსი „მთას ვიყავ“ მასში ჩადებული ღრმა აზრით. მთას მდგომ ადამიანს თვალწინ ქვეყანა გადაეშლება. მთა თითქოს შორიდან შეახედებს ცხოვრებისთვის მასზე ასულთ. ლექსში ნათქვამია: „ვლაპარაკობდი ღმერთთანა“. ადამიანი მთაზე ყოფნისას სულიერადაც მალღდება, იგი ხვდება ღმერთს. ამ დროს მის გონებაში კეთილი,ამაღლებული აზრები იბადება: „საკეთილდღეო ქვეყნისა მედვა სულად და გულადა“. თუ სახარებას გავიხსენებთ, ფერისცვალების წინ უფალმა თაბორის მთაზე აიყვანა მოციქულები; მთაზე მიიღო წმინდა მოსემ სჯულის ფიცარნი...მოციქულ პეტერსაც ლექსის გმირის მსგავსად

აღარ სურს მთიდან ჩამოსვლა. „იმ მთას თავს რისთვის ვანებებ, თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად“ - ამბობს იგი. თუმცა სანამ ადამიანი ცოცხალია, მუდამ მწვერვალზე ვერ იქნება. ეს ნუთისოფელია და ნუთისოფლის მკვიდრნი ასე ცხოვრობენ: ამალღება-დაცემებით: „მალიდამ დაბლა ჩამოსვლა,

ვაჰმე, რა მეტად ძნელია!“

პეტრე მოციქულმაც ხომ უფლის უქმნელი ნათლის ხილვის შემდეგ სამჯერ უარყო უფალი.

„მთათ მითხრეს“ - ამ ლექსით მთები თავის თავზე გვიყვებიან. მთების აზრით, ცხოვრება ჭირიანია და ადამიანს „აშშორებს“. „ბუნებისა ვართ გვირგვინი“ - აცხადებენ ისინი და ამ ნათქვამში ვაჟა-ფშაველას შეფასება ამოიცნობა.

თამარ ქიქინაძე

რომანტიზმის არსი და ქართული რომანტიზმის ძირითადი თავისებურებები

რომანტიზმი არის ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. რომანტიზმმა ლიტერატურაში წამოაყენა ახლებური გმირი. რომანტიკოსები აიდეალდებდნენ წარსულს, უარყოფდნენ აწმყოს და ახასიათებდათ ბუნებასთან სიახლოვე.

რომანტიზმის ფუძემდებელი და თეორეტიკოსი ფ. შლეგელი გამოყოფდა რომანტიზმის სოციალურ, ლიტერატურულ და ფილოსოფიურ წინამძღვრებს: 1) საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელსაც მოჰყვა გულგატეხილობა და ეს განცდა აისახა ლიტერატურაში. 2) ი. ფიხტეს ფილოსოფია. 3) გოეთეს რომანი „ვილჰემ მაისტერის მოწაფეობის წლები“, რომელშიც ასახულია ადამიანის სულიერი ევოლუცია.

XIX საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება: საქართველო რუსეთის იმპერიის უღელქვეშ აღმოჩნდა. ეს ფაქტი ლიტერატურულ პროცესზეც აისახა: ქართული მწერლობა, ერთი

მხრივ, ეცნობა დასავლურ (ევროპულ) ლიტერატურულ სკოლებსა და მიმდინარეობებს (რომანტიზმი, რეალიზმი), მეორე მხრივ კი, რუსეთის იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლაშია ჩართული. ქართული რომანტიზმი ჩასახვისთანავე გამოეხმაურა ევროპული რომანტიზმის თემებსა და მოტივებს, თუმცა, ძირითად, თემას მაინც საქართველოს ბუნდოვანი პოლიტიკური ანმყო წარმოადგენდა. შექმნილი ვითარების ბუნდოვანება ნათლად გამოიხატა ადრეული ქართული რომანტიზმის წარმომადგენელი პოეტებისრდ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში. თვალსაჩინოა მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ორმხრივობა. ისინი, როგორც რუსეთის არმიის გენერლები ვალს იხდიდნენ რუსეთის იმპერიის კარზე და ამასთან, სევდიანად დასტიროდნენ საქართველოს წარსულ ისტორიულ ძლიერებას. ამ აზრის დასტურია ისეთი შედეგები, როგორებიცაა არ – „გოგჩა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ცალკე აღნიშვნის ღირსია ნ. ბარათაშვილი, მისი პოეზია ქართული რომანტიზმის მსოფლიო რომანტიზმთან ერთიანობის სიმბოლოა. მან შეისისხლხორცა ის ძირითადი თემები, რომლებიც ახასიათებდა ევროპულ და მსოფლიო რომანტიზმს: პიროვნული "მე"-ს წარმოჩენა, წარსულის გაიდეალება, მითოლოგიური და რელიგიური ნაკადის მოზღვავება, ბუნებასთან თანაზიარობა, ამ სამყაროდან „გაჭრის“ ძიება, სიყვარულის, მარტოობისა და სევდის თემების გაშლა.

ირინა ხანდრატიანი

ბუნების სიმბოლური ასახვა ჯონ სტეინბეკის რომანში „თაგვებსა და ადამიანებზე“

სტატიაში განვიხილავ ჯონ სტეინბეკის რომანში „თაგვებსა და ადამიანებზე“ ასახულ თემებს. ეს არის ისტორია, სადაც ჩანს ამერიკული ოცნების და მწარე რეალობის შერწყმა. წიგნში გადმოცემულია ორი მეგობრის ცხოვრების რამდენიმე დღე, რომლებიც ოცნებობენ საკუთარი

რანჩოს ყიდვაზე. ნანარმოებში სტაინბეკს ღარიბი და სოციალურად დაუცველი ადამიანების ცხოვრება ახალ, სიმბოლურ დონეზე აჰყავს.

ავტორი წარმოაჩენს რთულ საკითხებს, რომლებიც შეეხება რასიზმს, მეგობრობას, მოვალეობას, მარტოობას, დანაშაულის გრძნობას, ბედნიერების მოლოდინს და ეს ყველაფერი ხდება გასული საუკუნის 30-იანი წლების ამერიკაში მომხდარი დიდი დეპრესიის ფონზე. სტაინბეკის მრავალფეროვანი შინაარსის მხატვრულ ნოველაში ხშირად გვხვდება მეტაფორული და სიმბოლური ნიმუშები, სწორედ სიმბოლიკას მივუძღვნი ჩემს სტატიას. ბუნება, როგორც სიმბოლო არის საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო, რადგან ბუნების სიმბოლური გამოყენება ასახავს მწერლის რწმენას ცხოვრების ერთიანობისადმი. რომანში ბუნების სიმბოლიკა ნაჩვენებია ოთხი სახით: ადამიანი და მიწა, დაბადება და სიკვდილი (რადგან ორივე არის ბუნებრივი პროცესი და ციკლი), წყალი, ადამიანი და ცხოველები. სწორედ ამ მხატვრულ ასახვას წარმოვაჩენ სტატიაში და დეტალურად განვიხილავ თითოეულს. რანჩოზე მუშაობა არის ერთ-ერთი ფუნდამენტალური მაგალითი იმისა, თუ რამხელა გავლენა აქვს ადამიანს ბუნებაზე. ლენის და ჯორჯის მთავარი ოცნება არის საკუთარი მიწის ქონა, რაც ნიშნავს იმას, რომ წიგნის მთავარი პერსონაჟების მიზანი და სურვილი გულისხმობს ბუნებაზე ბატონობას. ზოგჯერ, ადამიანები ბუნებას ანადგურებენ. მაგალითად, გავიხსენებ ფრაგმენტს, როდესაც ლენი კლავს ლეკვს. მთავარი პერსონაჟი ლენი ასახავს ბუნებრივი სამყაროს ზოგიერთ ასპექტს, რადგან, როგორც ჩანს, იგი ძირითადად არ იცნობს ადამიანთა სამყაროს მრავალ კონსტრუქციას. ბუნების სიმბოლიკა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი „თაგებებსა და ადამიანებში“, რადგან ნანარმოების დასასრული და შეჯამება პირდაპირ კავშირშია ბუნებასთან და მის სიმბოლზმთან. რომანის დასკვნის თანახმად, განსხვავება ადამიანის საზოგადოებასა და ბუნებას შორის, თაგებებსა და ადამიანებს შორის, არც ისე დიდია, რაც ჩემი აზრით ჯონ სტაინბეკმა წარმოაჩინა თავის ნოველაში.

ლია ხვადაგიანი

სიტყვა „Door“ ინგლისურსა და ქართულში, სემანტიკური თავისებურებების შეპირისპირების ანალიზი

ინგლისური სიტყვის door და მისი ქართული შესატყვისის კარის მსგავსება-განსხვავებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მათი ეტიმოლოგია და სემანტიკა. ასევე, უნდა განვიხილოთ როგორც მათი ცალკეული მნიშვნელობები, ასევე იდიომები და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც მათ ვხვდებით.

ინგლისური door მომდინარეობს გერმანიკული სიტყვიდან dur, თუმცა მას უფრო ძველი პროტო-ინდო-ევროპული წარმოშობა აქვს: dwher, რომელიც ორ მნიშვნელობას ატარებდა: კარი და კარიბჭე. მისი კორელატი ქართულ ენაში არის - კარი და ის ქართული ფუძის უნდა იყოს. Door არის არსებითი სახელი, მხოლოდით რიცხვში, რომელიც ასე განიმარტება: „ავეჯის ნაწილი, დაკიდებული ან/და მოძრავი ბარიერი, რომელიც ხსნის ან კეტავს შესასვლელს,“ თუმცა ამასთან ერთად, მას რიგი მნიშვნელობებიც აქვს:

- მონაწილეობის შესაძლებლობა - opens new door, door to success
- ამა თუ იმ პროცესის დასაწყისი - doors are open at 8.

ამ სიტყვის მაგავსი 2647 სიტყვა ფიქსირდება, თუმცა ყველაზე ხშირად გამოყენებული სინონიმების რაოდენობაა 52. ასევე, საინტერესოა, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მათი გამოყენება:

ინგლისური door-ის შემთხვევაში:

- As dead as doornail-totally dead - სრულიად მკვდარი.
- Back door man-a man having an affair with a married woman; - კაცი,

რომელსაც სასიყვარულო ურთიერთობა აქვს გათხოვილ ქალთან.

ქართული კარის შემთხვევაში კი:

- ბედის კარზე მოდგომა - ბედნიერი შემთხვევის მოსვლა
- სამოთხის კარი გაეღო - ცას ეწია სიხარულით.

ამ ფუძით ნაწარმოები სიტყვებია: outdoorsman, მეკარე, კარისკაცი და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ისეთი გამოთქმებიც, რომლებიც მეტ-ნაკლებად ორივე ენას ახასიათებს:

- Heaven door - სამოთხის კარი;
- At death's door - კუბოს (სამარის) კარი.

ვხვდებით ისეთ საინტერესო იდიომებსაც, როგორიცაა: door-to-door- კარდაკარ; the people next door - კარის მეზობელი; და ანდაზებს:

“when one door is closed, many more is open “; “ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებს “.

კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინგლისური door და ქართული კარი ატარებს როგორც ერთნაირ, ისე განსხვავებულ მნიშვნელობებსაც, რაც ნათლად დაგვანახა იდიომებისა და ანდაზების შედარებამ.

თამარ ხუბერაშვილი

ამერიკის ინდიელთა რეზერვაციებში არსებული ძირითადი პრობლემები და გამონკვევები

საუკუნეების განმავლობაში ევროამერიკელები ინდიელებს აღიქვამდნენ, როგორც მეორე კლასის მოქალაქეებს. მათვის მიუღებელი და არარსებითი იყო ინდიელთა კულტურული ღირებულებები, ადგილობრივთა ტრადიციული ეთოსი და ცხოვრების წესი. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნეში ინდიელმა სამართლის გზით გარკვეული გამარჯვებები მოიპოვეს და დაიცვეს საკუთარი თვითმყოფადობა, მიწები, ტრადიციები, რესურსები დღემდე მაინც არის შემორჩენილი ინდიელების შესახებ სტერეოტიპული შეხედულებები.

ინდიელებმა დაიბრუნეს თავიანთი სუვერენიტეტი, მიწების გარკვეული ნაწილი და სრული თავისუფლებაც მიიღეს თავიანთი კულტურის აღორძინებისთვის. ამ ყველაფრის მიუხედავად რეზერვაციაში მათ მაინც ძალიან ბევრი პრობლემა და წინაღობა ექმნებათ, იქიდან გამომდინარე, რომ უმეტესობა ინდიელებს მაინც ისე უყურებს, როგორც რომან-

ტიკული პერიოდის, „ველური დასავლეთის ამერიკის გადმონაშთებს და არა როგორც საკუთარი იდენტობისა და თვითმყოფადობის მქონე ხალხს. მათ ბევრი რამ დაკარგეს და იბრძვიან თავიანთი მიწის, ღირსებისა და თავისუფლების დასაბრუნებლად. მათ სურთ გააუმჯობესონ მათი ცხოვრების პირობები. თანამედროვე ამერიკაში რეზერვაცია ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი ზონაა, ხოლო ინდიელებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება, ალკოჰოლიზმთან, ქრონიკულ დაავადებებთან და სხვა პრობლემებთან ერთად.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, თუ როგორ ცდილობენ ისინი ამ გარემოპირობებიდან გამომდინარე ააღორძინონ მივიწყებული ტრადიციები. და არამარტო ისინი. ჩემი კვლევის მიზანია შევისწავლო ამერიკის ინდიელთა რეზერვაციებში არსებული ძირითადი გამოწვევები და პრობლემები. გავაანალიზებ ინდიელთა წინაშე მდგარ ძირითად პრობლემებსა და მათთან ბრძოლის გზებს.

კვლევის კონკრეტული ობიექტია რეზერვაციის რეალობაში არსებული შიშველი პრობლემები: ტომის სუვერენიტეტი და დეკოლონიზაცია, ტრადიციების შენარჩუნება, რეზერვაციებში არსებული ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა, განათლება, ჯანდაცვა, ამერიკის ინდიელთა იმიჯისა და ტრადიციების სტერეოტიპიზაცია.

მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ რეზერვაციებში ტრადიციული კულტურის აღორძინებისა და შენარჩუნების პრობლემას.

ჯონდი ხუხია

საქართველოსა და ესპანეთის დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიიდან (XVII საუკუნის 20-იანი წლები)

საქართველოსა და ესპანეთის დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდს წარმოადგენს ბერძენი ბერის, კონსტანტინე სოფიას წერილი ესპანეთის მეფის - ფილიპე IV სახელზე. ამავე პერიოდში ესპანეთის სამეფო კარს ესტუმრა თეიმურაზ I წარ-

გზავნილი ქართველი ელჩი, ნიკიფორე ირბახი. როგორც ჩანს, ესპანეთის მეფის ადმინისტრაციაში მყოფ კონსტანტინე სოფიასა და ნიკიფორე ირბახს საერთო მიზნები ამოძრავებდათ. გარკვეულ მიზეზთა გამო, საქართველოსა და ესპანეთის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება და სამომავლო გეგმების განხორციელება პრაქტიკულად ვერ მოხერხდა.

კონსტანტინე სოფიას მიერ შედგენილი დოკუმენტი წარმოდგენას გვიქმნის ევროპელთა თვალთ დანახულ საქართველოზე, მის სამხედრო შესაძლებლობებსა და სიძლიერეზე. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოსა და ესპანეთს შორის დამყარებული კავშირების წარმოჩენა კონსტანტინე სოფიას მიერ შედგენილი დოკუმენტის დახმარებით, კონსტანტინე სოფიას მიერ გამოყენებული დიპლომატიური მეთოდების შესწავლა, მის მიერ საქართველოს ისტორიის საკითხთა შესახებ მოყვანილი ცნობების შედარება ქართულ საისტორიო მწერლობასთან. გარდა ამისა, საკვლევი თემატიკა შეეხება კონსტანტინე სოფიას მიერ შედგენილ ანტი-ოსმალურ პროექტს და მისი რეალიზაციის გზებს. გვთავაზობს რა არგუმენტირებულ, დასაბუთებულ მოსაზრებას, რომ ესპანეთი არათუ უნდა გათავისუფლდეს აუცილებელი ომებისგან და ბედის ანაბარა მიატოვოს პატარა სახელმწიფოები მრისხანე მტრის, ოსმალეთის წინააღმდეგ, არამედ როგორც ძლიერმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ დახმარება გაუწიოს გასაჭირში მყოფთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე სოფიას მიერ წარმოდგენილი თავდასხმის გეგმა სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით საკმაოდ სუსტია. ამასთანავე მიმოვიხილავთ ესპანეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს და XVII საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას, რაც გაგვიადვილებს მსჯელობას ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

კონსტანტინე სოფიას მიერ შედგენილი წერილი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა სიმანკასის არქივში, კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს ქართველების მიერ მოკავშირის ძიების სურვილს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს სახით და შეურიგებლობას მომხდურ მტრებთან.

ქრისტიანე ჯავახიშვილი

სიტყვა „Wonder“ ინგლისურსა და ქართულში, სემანტიკური თავისებურებების შეპირისპირებითი ანალიზი

ინგლისური სიტყვის wonder და მისი ქართული შესატყვისის მსგავსება-განსხვავებებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვისაუბროთ მათ ეტიმოლოგიასა და სემანტიკაზე, მათ მნიშვნელობებზე და აგრეთვე უნდა აღინიშნოს, თუ რომელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, იდიომებსა და ანდაზებში გამოიყენება ეს სიტყვები.

ინგლისური wonder მომდინარეობს ძველი ინგლისური სიტყვიდან wundor, რომელიც არის არსებითი სახელი და wundrian, რომელიც არის ზმნა. ეს სიტყვა წარმოადგენს პროტო-გერმანიკული ფუძის სიტყვას.

რაც შეეხება მის კორელატებს ქართულ ენაში, ესენია: ზმნა „გაოცება“, „ცოდნის სურვილი“, „დაინტერესება“ და არსებითი სახელი „სასწაული“, „საოცრება“. თითოეული კორელატი არის ქართული წარმოშობის სიტყვა. მათ ვხვდებით სულხან საბას „ლექსიკონი ქართულში“.

ქართულ ენაში სიტყვა „სასწაულს“ უპირატესად ქრისტიანული დატვირთვა აქვს. ძველი ქართული ენის ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც „ნიში, საკვირველობა, განსწავულობა, მომასწავლებელი ნიშანი“.

ინგლისურ ენაში კი არსებითი სახელი wonder შემდეგნაირადაა განმარტებული

1. a feeling of surprise and pleasure that you have when you see or experience something beautiful, unusual or unexpected - გაოცების გრძნობა, როდესაც რაიმე ლამაზს და წარმოუდგენელს ხედავ;

2. a person who is very clever at doing something; a person or thing that seems very good or effective - ადამიანი რომელიც ჭკვიანია რაღაცაში ან ადამიანი, რომელიც კარგი და ეფექტური ჩანს;

3. something that fills you with surprise and pleasure - რაღაც, რაც გაოცებითა და სიხარულით გავსებს.

ძალიან საინტერესოა ფრაზეოლოგიური ერთეულები, იდიომები და ანდაზები რომლებშიც ეს სიტყვები გამოიყენება.

მაგალითად, იდიომები, სადაც ინგლისური wonder გვხვდება:

1. a seven-day wonder - როდესაც რაღაც დიდი ხნით არ იწვევს ინტერესს, მალე დასავიწყებელი ამბავი (ასევე გვაქვს: one day wonder/nine day wonder).

ასევე არსებობს ანდაზები ინგლისურში სადაც სიტყვა wonder გამოიყენება, მაგალითად:

1. The longer we live, the more wonders we see - რაც უფრო ხანგრძლივია სიცოცხლე, მით უფრო მეტ საოცრებას ვაწყდებით,

2. Wisdom begins in wonder - სიბრძნე იწყება ცოდნის სურვილით.

რაც შეეხება ქართულ კორელატს “სასწაული”, სხვადასხვა ანდაზებში ვხვდებით ამ სიტყვას, მაგალითად:

1. "დედის გული სასწაულების ამოუწურავი წყაროა" და ა. შ.

კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ **wonder** - სა და ქართულ **სასწაულს**, **საოცარს** აქვს როგორც ერთნაირი, ისე განსხვავებული მნიშვნელობები. განსხვავებები ორ საკვლევ ენას შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა ფრაზეოლოგიზმების, იდიომებისა თუ ანდაზების ანალიზის პროცესში.

ლევან ჯანჯღავა

სახელმწიფო: რა? როგორ?

პარადიგმები ნიკოლო მაკიაველის „მთავარსა“ და თომას ჰობსის „ლევიათანში“

რა არის სახელმწიფო? როგორ იმართება იგი? რა არის მისი ოპტიმალური ფორმა? ამ კითხვებზე დღემდე არ გვაქვს განსაზღვრულად ზუსტი პასუხები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ XV-XVI საუკუნეებში ამ კითხვებზე პასუხს ეძებდა ორი უდიდესი მოაზროვნე- ნიკოლო მაკიაველი და თომას ჰობსი. მათ საფუძველი ჩაუყარეს პოლიტიკურ რეალიზმს, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ ფილოსოფიაში აქტუალობას არ კარგავს.

მაკიაველი, თავის მოკლე ტრაქტატში „მთავარი“, საკუთარი გადმოსახედიდან გამომდინარე, ასახავს უკვე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში, ყველაზე ეფექტური მმართველობის სისტემას, რომლის სათავეში დგას მთავარი, რომელიც ერთდროულად ლომიც არის და მელაც. ასეთი მმართველის პროტოტიპად კი მაკიაველის იდეალი რომანიის მთავარი, ალექსანდრე VI-ის შვილი ჩეზარე ბორჯაა (ესპ. ბორხა). რა თქმა უნდა, ბორჯა არ არის ერთადერთი პერსონაჟი, რომელიც „მთავარი“ არის განხილული; მიუხედავად ტრაქტატის მცირე მოცულობისა, მაკიაველი მასში წარმოგვიდგენს მმართველთა ფართო სპექტრს არა მარტო მისი თანამედროვეობიდან, არამედ ისტორიიდან და განიხილავს მათ, როგორც კარგ, ძლიერ, ცუდსა და სუსტ მმართველებს, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთსაც ადარებს.

რაც შეეხება თომას ჰობსის „ლევიათანს“. რელიგიური ომების დროს საფრანგეთში მყოფი ჰობსის მთავარი მიზანი იყო წარმოედგინა ოპტიმალური სახელმწიფო, რომელიც შეიქმნებოდა ადამიანების სურვილით, როგორც გარანტი თვითგადარჩენისა და ადამიანებითვე დაკომპლექტდებოდა. ამ სახელმწიფოს ეყოლებოდა სუვერენი ანუ შიპოთეტური მმართველი (მეფე, მთავრობა, უზენაესი ძალა). ჰობსისეულ სახელმწიფოში, ადამიანი იქნებოდა თავისუფალი მაგრამ მას ექნებოდა შემოთხსენებულ სუვერენისადმი პასუხისმგებლობა დაკისრებული. ეს პასუხისმგებლობა აღინიშნება „სამოქალაქო კონტრაქტით“, რომლის ნიადაგზე სახელმწიფოს მოქალაქე უთმობს თავისი უფლებების ნაწილს, რათა მან მიიღოს სარგებელი უზენაესი ძალისაგან, ანუ იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ჰობსი წარმოდგენილია როგორც ლიბერალიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ლევიათანით“ იგი აგრეთვე გვევლინება რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც, რადგან მისი ლიბერალური იდეა ადამიანის გადარჩენისა, გამომდინარეობს მისივე რელისტიური გადმოსახედიდან, რომ ადამიანი, მის „ბუნებრივ მდგომარეობაში“, ანუ ანარქიაში, არის ნეგატიური ფიგურა.

სალომე ჯგერენია

ინგლისური სიტყვა “Shout” და მისი კორელატები ქართულ და მეგრულ ენებში

მოხსენებაში შედარებულია ინგლისური სიტყვა “Shout” და მისი შესატყვისები ანუ კორელატები ქართულ და მეგრულ ენებში. კვლევის პროცესში შევისწავლე ამ სიტყვების ეტიმოლოგია და სემანტიკა, შევადარე ერთმანეთს ინგლისური სიტყვის და მისი კორელატის სხვადასხვა მნიშვნელობა. თეორიული მასალა მოპოვებულია წყაროებიდან: “Century Dictionary and Cyclopaedia”, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, ვახუშტი ბაგრატიონის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“. ემპირიული მასალა მოპოვებულია ლექსიკონებდან “Online Etymological dictionary”, “Merriam – Webster Dictionary”, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან.

მოხსენებაში გაანალიზებულია საკვლევი სიტყვების გამოყენება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, იდიომებსა და ანდაზებში. ასევე განხილულია მოცემული ძირებიდან ნაწარმოები სიტყვები.

შეპირისპირებითა კვლევამ გამოვლინა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები სამ საკვლევ ენას შორის:

მსგავსება გახლავთ ის, რომ სამივე ენაში სიტყვა „ყვირილს“ აქვს ერთნაირი ძირითადი მნიშვნელობა, მაგალითად: ხმამაღლა ძახილი (ადამიანისა), თავისებური ხმის გამოცემა (ცხოველისა თუ ფრინველისა). ასევე, *give somebody a shout*, ქართულში იმავე მნიშვნელობის სიტყვაა - *შემომძახე*, მეგრულად კი გვაქვს - *განკომძახი*. თუმცა გარკვეული განსხვავებები გამოვლინდა მნიშვნელობის მხრივ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. მაგ. *Shout- To buy a drink for someone*, ქართულ და მეგრულ ენაში ამ ფრაზის შესაბამისი წინადადება ყვირილთან არ არის დაკავშირებული. ქართულად გვაქვს - სასმელზე დაპატიჟება, ხოლო მეგრულად - ოშუმაიმა გინოპატიჟება. *Within shouting distance* - ნიშნავს ახლოს, მეგრულ და ქართულ ენაში ეს გამოთქმა შემდეგნაირადაა - ქართულად გვაქვს გამოთქმები - *ორი ფეხის ნაბიჯზე, ყურის ძირში* მეგრულად - ყუჯიმ ჯინს (ყურის ქვეშ). ქართულში სიტყვა „ყვირილიდან“ ნაწარმოებია

შემდეგი სიტყვები - მდ. ყვირილა, სამყვირალო, საყვირი, ხოლო ინგლისურ ენაში მსგავსი დერივატები არ გვხვდება. კვლევის პროცესში გამოვლენილმა მრავალმა სემანტიკურმა განსხვავებამ დაადასტურა, რომ ინგლისური, ქართული და მეგრული კორელატები სემანტიკურად სრულად ვერ ფარავენ ერთმანეთს.

